პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეზობელთა დეკანოზების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ХШრაა, 9 მარტი, 1947 წ. № 51 (7835). ფასი 20 კაპ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ:

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲑᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ. მოწერილია (1-ლი გვერდი).

ᲝᲛᲘᲡᲨᲔᲛᲓᲔᲒᲛᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲛᲮ. Ა. Ა. ᲐᲜᲓᲠᲘᲔᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ Კ. პ. (ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ (1-ლი, მე-2 და მე-3 გვერდი).

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ Ი. ᲪᲘᲠᲐᲜᲐᲕᲘᲩᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲜᲐᲖᲔ Ი. ბ. ᲡᲐᲚᲐᲚᲘᲡ ᲓᲐ Ვ. ᲒᲐᲜᲘᲩᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲜᲐᲖᲔ (2-ᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ Ბ-ᲜᲘ Ე. ᲑᲔᲕᲘᲜᲘᲡ (1-ლი გვერდი).

ᲐᲮᲝᲛᲐᲠᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲨᲘ 1947 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲛᲐᲠᲢᲘ (მე-4 გვერდი).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ: დეკანოზები (მე-4 გვერდი).

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲑᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ

საოლქმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად ჩვენ ახლა გვაქვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, მსხვილი, მოწესრიგე სოფლის მეურნეობა. ამას ჩვენი კოლმეურნე გლეხობა, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხები დიდ სტალინს უმადლიან.

საოლქმეურნეო წყობილების ძალა და სიცოცხლისუნარიანობა, კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა დიდი სამამული ომის წლებში, როცა ჩვენი სოფლის მეურნეობა წარმატებით ამარაგებდა საბჭოთა არმიას და მოსახლეობას სურსათ-სანოვაგით, ხოლო მრეწველობას ნედლეულით.

დიდი სამამული ომის დამთავრებისთანავე მთავრობამ და პარტიამ გაანალიზეს მთელი რიგი ღონისძიებანი ომით მოყენებული ჯრიალობის მოსაშუშებლად, სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის.

ახლა ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა უმოკლეს ვადაში შეკვნეთ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვე, სურსათისა და ნედლეულის აუცილებელი სახელმწიფო მარაგი და აკამაღლოთ შრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ წარმოადგენს გაშლილ საბრძოლო პროგრამას ამ ამოცანის გადასაჭრელად.

პლენუმის დადგენილება ითვალისწინებს კონკრეტულ ღონისძიებებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

პლენუმის დადგენილებაში მოცემულია ღონისძიებათა მთელი კომპლექსი ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

თვალსაჩინო იზრდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა.

პლენუმის დადგენილება სახავს ყველაზე ღონისძიებებს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისა და კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ბოლოზედ აღმოფხვრისათვის.

სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი დიადი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებად დასახულია კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ებისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესების ამოცანა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ბევრ რამეს აკეთებს საქართველოს მშრომელებს. მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებასთან, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებასთან ერთად შეუნელებელი ყურადღება უნდა მიექცის სტაროპაიკული მეურნეობის შემდგომ განვითარებას. სტაროპაიკული რაიონების სასოფლო-სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანების წინაშე დასახულია ამოცანა მნიშვნელოვან გაფიდონ ციტრუსოვანთა და ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა. 1948 წელს გადაჭარბებულ უნდა იქნას ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის იმამდელი დონე. 1949 წლის ციტრუსოვანი კულტურების ფართობი აყვანილ იქნება 27,5 ათას ჰექტარამდე, ხოლო ჩაის პლანტაციებისა—60 ათას ჰექტარამდე. 1947-1948 წლების განმავლობაში ბოლო უნდა მოეღოს ჩაის პლანტაციების სიმეჩხრეს. უახლოეს ორ-სამ წელიწადში აუცილებელია მიკვეწოთო ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების დაავდების კერათა სრულ ლიკვიდაციას. დიდი ყურადღება ექცევა სასელექციო მუშაობის ფართოდ გაშლას ფოროხოლისა და ლიმონის ყინვაგაძძლე, საადრეო და მაღალმოსავლიანი ჯიშების გამოსაყვანად.

პლენუმის დადგენილების შესასრულებლად ჩვენ ყველა პირობა გვაქვს. ჩვენ გვაყვს შესანიშნავი კადრები, რომელნიც საეკონომიკოდ დაეუფლნენ ციტრუსებისა და ჩაის კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეს. 1947 წელს საქართველოს სს რესპუბლიკას ციტრუსოვანთა კულტურებისა და ჩაისათვის პლენუმის დადგენილებით გამოყოფ 84 ათასი ტონა მინერალური სასუქი, მათ შორის 45 ათასი ტონა აზოტოვანი სასუქი. ეს ერთ-ერთი გადაწყვეტი პირობაა მოსავლიანობის გაფაქრით ასამაღლებლად.

საქართველოს საოლქმეურნეო სოფლის მშრომელები მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად უდიდესი აღფოთოვანებით შეხვდნენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას. კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში გულდასმით სწავლობენ ამ ისტორიულ დოკუმენტს.

გუშინდელი რაიონის ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობის მეგობლური ეელენე უტიაშვილმა დადგენილების გაცნობისას განაცხადა:

— მე და ჩემმა მეზობლებმა კოლმეურნეობაში ვთვვეთ ხსნა. კოლმეურნეობა რომ არ ყოფილიყო, საამური ცხოვრებაც არ გვექნებოდა. მადლობა ფიდ სტალინს საოლქმეურნეო წყობილების შექმნისათვის. მაღე სოფელი კიდევ უფრო წინ წავა და აყვავდება. დადგენილება ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ გვავალებს ვიმუშაოთ უკეთესად, ვიღრე აქამდე ვმუშაობდით. ვკისრულობ აბრეშუმის პარკის მოსავლის მიღებისა და სახელმწიფოსთვის ჩაბარების გეგმა შეეასრულო 120 პროცენტით, გადაჭარბებით გავანაღოდ სხვა დავალებებიც.

ამ სიტყვებით კოლმეურნე ე. უტიაშვილმა კარგად გამოხატა სოფლის მშრომელთა მადლობის გრძნობა ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინისადმი.

ახლა ჩვენს ქვეყანაში ლენინგრადელთა მოწოდების პასუხად ფართოდ ჩაფდება სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის საპრაზოო დავალებათა ვადამდე—7 ნოემბრისათვის, დიდი ოქტომბრის რევოლუციის წლისთავზე შესრულებისათვის. შეჯიბრებში ებმება ჩვენი კოლმეურნე გლეხობა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება 1950 წლიდან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გაანალების შესახებ 1947 წლიდან გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით.

ბოლშევიკური პარტიის მზრუნველობას კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები უასუხებენ ახალ-ახალი კონკრეტული ვალდებულებებით. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ საკავშირეულო სოფლის მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობას. უნდა მივაღწიოთ იმისა, რომ შეჯიბრებაში ჩაებას ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, მტს-ი, სოციალისტური მიწათმოქმედების თვითეული მუშაკი. მიმდინარე წლიდანვე აუცილებელია გაკეთდეს მზადება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის. გამოფენაზე მონაწილეობის უფლების მოპოვება საკოლმეურნეო სოფლის მუშაკთა ღირსებისა და სახელის საქმეა.

საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი. დიდი სტალინი გვასწავლის:

„...საკოლმეურნეო წყობილება კი არ აშკიერებს, არამედ ადიდებს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას და პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართ. აქედან გამომდინარეობს, რომ პარტია, თუ მას სურს უნელმძღვანელოს საოლქმეურნეო მოძრაობას, უნდა ჩასწვდეს საოლქმეურნეო ცხოვრებისა და საკოლმეურნეო ხელმძღვანელობის ყველა დეტალს. აქედან გამომდინარეობს, რომ პარტიამ კი არ უნდა შეასუსტოს, არამედ უნდა გააძლიეროს თავისი კავშირი კოლმეურნეობებთან, რომ მან უნდა იცოდეს ყველაფერი, რაც ხდება კოლმეურნეობებში, რათა თავის დროზე გაუწოს დახმარება და თავიდან აიცილოს კოლმეურნეობებს მოსალოდნელი საფრთხე“.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ფართოდ განეშარტონ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ყველა მშრომელს, დარაზმონ ისინი ამ დადგენილების წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ ხნა-თესვა, ციტრუსებისა და ჩაის საკაზფხულო სამუშაოები. ეს იქნება საქმით პასუხი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაზე.

ᲝᲛᲘᲡᲨᲔᲛᲓᲔᲒᲛᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ამხ. Ა. Ა. ᲐᲜᲓᲠᲘᲔᲕᲘᲡ მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე *

მეტად დიდმნიშვნელოვანია რაც შეიძლება მალე დაენერგოთ წარმოებაში მაღალნაყოფიერი მანქანები; მარცვლეულის მოსავლის აღებისათვის — თვითმავალი კომბაინები; ტექნიკური კულტურებისა — ჭარხლის, ბამბის, სელის, კარტოფილის აღების მექანიზაციისათვის, შემდეგ ისეთი პერსპექტივიანი მანქანები, როგორიცაა იარაღები ტრაქტორებისათვის, რომლებიც ალარ მოითხოვენ დამატებით მიმბმელებს, ამცირებენ მუშახელის საჭიროებას, ვინაიდან მანქანებს პირდაპირ ტრაქტორიდან მართავენ თვითონ ტრაქტორისტი.

ყველა ჩამოთვლილი მანქანის ნიმუშები გვაქვს, მათ უკვე გაიარეს გამოცდა. სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულნი არიან რაც შეიძლება მალე შემოტანონ მთავრობაში თავისი წინადადებები ამ მანქანების წარმოებაში დანერგვის შესახებ.

არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ითქვას სოფლის მეურნეობისათვის საჭირო კიდევ ერთ სეროიზულ დამატებითს ძალოვან წყაროზე — ადგილობრივ ელექტროფიკაციაზე. სურვილისა და ჯერეოვანი ენერგიის პირობებში აქ ბევრი რამის გაკეთება რომ შეიძლება, ამას მოწმობს სვერდლოვსკის ოლქის მაგალითი. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ოლქში ელექტროფიცირებელია კოლმეურნეობათა სამი მეოთხედი ნაწილი და ყველა მტს-ი, აგებულია და ამუშავდა 163 ჰიდროელექტროსადგური, 422 თბოელექტროსადგური, რამაც შესაძლებელი გახადა ელექტროლეწვის მოწყობა 500 კოლმეურნეობაში. ელექტროწვეიანი გადაყვანილია 400 მარცვალსაწმენდი მანქანა, ბევრი წისქვილი, სატუმბავი დანადგარი და სამქვლები. ელექტროფიცირებულია კოლმეურნეობების მეცხოველეობის 4 ათასი ფერმა. წელს ოლქში დასახულია კოლმეურნეობათა ელექტროფიკაციის დამთავრება. როგორც ხედავთ, ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა.

ადგილობრივ ელექტროფიკაციას უნდა დაეუმატოთ ქარრავების ფართოდ გამოყენების აუცილებლობა, განსაკუთრებით ველიან რაიონებში. მრეწველობა უნდა დაეხმაროს სოფლის მეურნეობას ქარძრავების და მათი ელექტროდანადგარების წარმოებით.

მაგრამ ახალი ტექნიკის მიღებასთან ერთად ჩვენ სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობაში არსებული ტექნიკა, რომელიც არცთუ ისე ცოტა გვაქვს, და უნდა ამოვწურთოთ იქიდან ყველაფერი, რაც კი შესაძლოა.

ამ მხრივ მრეწველობა უნდა დაეხმაროს სოფლის მეურნეობას სათადარიგო ნაწილებით. აქ საჭიროა აღინიშნოს ის ნაკლი, რომ სათადარიგო ნაწილების წარმოების პროგრამა სრულდება უმთავრესად არადეფიციტური დეტალების დამზადებით, ხოლო ტრაქტორების მოცდენა ჩვენში დამოკიდებულია ისეთ ყველაზე დეფიციტურ დეტალებზე, როგორიცაა მუხლა ლილვები, ცილინდრის თავები, კბილანები და საკისრები.

ჩვენში ათი ათასზე მეტი ტრაქტორი მოითხოვს აღდგენის რემონტს და სრულებით არ არის გამოყენებული სოფლის მეურნეობაში, მათი აღდგენა კი შეიძლება, თუ სათადარიგო ნაწილებს მივცემთ. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოანგარიშებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში მტს-ებში სათადარიგო ნაწილების ნაკლებობის გამო მოძცდარია 20-დან 30 ათასამდე ტრაქტორი. მოელი ამ ტრაქტორების ისეთ მდგომარეობაში მოყვანასა, რომ მათ მუშაობა შეეძლოთ, სერიოზული მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო საქმეთათვის დროულად შესრულებისათვის.

IV

მანქანა-ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

არსებული ტექნიკის გამოყენების საკითხთან დაკავშირებულია მტს-ების მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ჩვენში 7.584 მტს-ი არსებობს. ყველასთვის გასაგებია, თუ რა დიდმნიშვნელოვანი ბერკეტია ეს სახელმწიფოს ხელში სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. მშვიდობიანი მშვიდობლობის პერიოდში მტს-ებმა ჩვენში დიდი როლი შეასრულეს საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებასა და სოფლის მეურნეობის აღმავლობაში. ეს გადამწყვეტი როლი მტს-ებს შენარჩუნებული აქვთ ახლაც, მეტადრე თუ გავიფიქლეთ, რომ კოლმეურნეობებში ცოცხალმა ვაჭრეეა ძალიან იკლო.

თუ გავიანგარიშებთ წეეითს ბალანსს კოლმეურნეობებსა და მტს-ებში, გამოვა, რომ კოლმეურნეობათა ცოცხალი გამეწეი ძალა და მტს-ების ტრაქტორები საერთოდ შეადგენენ 10,2 მილიონ ცხენის ძალას, კომბაინები და ავტომანქანები რომ არ ვიანგარიშოთ, აქედან მტს-ების ტრაქტორთა სიმძლავრე შეადგენს 6 მილიონ ცხენის ძალას, ანუ 58 პროცენტს. კოლმეურნეობებში ხვნის საოჯახოთა საერთო რაოდენობიდან მტს-ება ასრულებენ 70-75 პროცენტს, ე. ი. უდიდეს ნაწილს. ეოლეოსპირეთის, ციმბირისა და ჩრდილოეთ კავკასიის ოლქებში ეს წილი კიდევ უფრო მაღალია. მაშასადამე, მტს-ების მანქანები მნიშვნელოვანწილად სწყვეტენ საქმეს, და ნათელი ფართობების გადიდებისა და მოსავლიანობის ამაღლების ამოცანა უდიდესწილად მტს-ებს ეკისრება. მტს-ების ეს გადამწყვეტი როლი უფროოდაფარო გაიზრდება — ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რაოდენობის გადიდების მიხედვით.

ამავე დროს კი უნდა ითქვას, რომ მტს-ების მუშაობასა და მათს ხელმძღვანელობაში ძალიან სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. რაში მდგომარეობენ ეს ნაკლოვანებანი?

ჯერ-ერთი, ჯერ კიდევ დაბალია ტრაქტორისტისა და კომბაინების გამომუშავება. საშუალო გამომუშავება ტრაქტორზე 1946 წელს 348 ჰექტარს შეადგენდა, კომბაინით მოსავლის აღება შეადგენდა 142 ჰექტარს. მართალია, ეს გამომუშავება ომის დამთავრების შემდეგ წლითიწლობით მატულობს. შარშანდელთან შედარებით გამომუშავება 48 ჰექტარით გადიდდა, მაგრამ მაინც დაბალია. ომამდე, როცა სოფლის მეურნეობა ძლიერ აღუსავლელი იყო ტრაქტორებით, გამომუშავება ტრაქტორზე 411 ჰექტარს შეადგენდა, ახლა გამომუშავება უფრო მაღალი უნდა იყოს, იმიტომ რომ ტრაქტორების რაოდენობამ იკლო, და ამის მიღწევა რომ შეიძლება, ამას მოწმობს ბრიგადი მაგალითი კარგი მტს-ების მუშაობისა და ცალკეულ ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში ყველა მტს-ისაც კი.

მაგალითად, კემერეოოს ოლქის მტს-ებმა 1946 წელს სამეოველთ ერთ 15-ძალიან ტრაქტორზე გამოიმუშავეს 400 ჰექტარი ნახნავი, მაშინ როცა ციმბირის მტს-ებში საშუალო გამომუშავება ტრაქტორზე 256 ჰექტარს შეადგენდა. ეუიბიშევის ოლქის მტს-ებმა 1946 წელს ტრაქტორზე გამოიმუშავეს 374 ჰექტარი, ბეზობლად, ულიანოვსკის ოლქში კი მხოლოდ 273 ჰექტარი გამოიმუშავეს.

განსხვავება კიდევ უფრო გეეცმა თვალში, როცა აიღეს ტრაქტორზე გამომუშავებას საშუალოდ ოლქში და ცალკეულ მტს-ებში. აი 1945 წლის მონაცემები: ჩუვაშთის ასსრ ვაუნარის მტს-ში გამომუშავება ტრაქტორზე შეადგენდა 585 ჰექტარს, ხოლო საშუალო გამომუშავება რესპუბლიკაში 317 ჰექტარს, ბორკის ოლქის ბოგორიოდსკის მტს-ში გამომუშავება 869 ჰექტარი, ხოლო საშუალო გამომუშავეეა ოლქში 325 ჰექტარი იყო, ოდესის ოლქის „პრავდის“ სახელობის მტს-ში გამომუშავება 1.079 ჰექტარი, ოლქში საშუალო გამომუშავება კი 543 ჰექტარს შეადგენდა.

ეს მაგალითები მოწმობენ, რომ მტს-ის კარგი მუშაობის პირობებში შეიძლება მიღწეულ იქნას გაცილებეი უფრო დიდი გამომუშავება ტრაქტორზე.

მეორე დიდ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ჩვენი მტს-ება ნაკლებად არიან დაინტერესებულნი მოსავლიანობის გადიდებით, ნიადაგის კარგი დამუშავებით, თავის დროზე თესვითა და მოსავლის აღებით.

მტს-ების მუშაობის შეფასების მოქმედი სისტემა — რბილ ხნაზე გადაყვანილ ჰექტართა მიხედვით და მტს-ების მუშაკთა წახალისების სისტემა იმას იწვევს, რომ ბევრი მტს-ი ცდილობს რაც შეიძლება მატი იოლი სამუშაო შესარულოს ხნის მძიმე სამუშაოთა ნაცვლად. აი, მაგალითად, რა სურათია ამ მხრივ ცალკეულ ოლქებში. როსტოვის ოლქში მტს-ების სტარატორო სამუშაოთა გეგმა 1946 წელს ხნაზე გადაყვანით 107 პროცენტით შეასრულა, მზრალად ხნა კი მხოლოდ 59 პროცენტით, კომბაინებით მოსავლის აღება 78 პროცენტით; ჩკალოვის ოლქში მტს-ების სატარატორო სამუშაოთა გეგმა 93 პროცენტით შეასრულა, მზრალად ხნის გეგმა კი 41 პროცენტით, სანაფლეთ ხნის გეგმა 61 პროცენტით, ხოლო ფარცხვის გეგმა 16-ჯერ გადაჭარბებით შეასრულა; სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში შესრულებას თუ ავიღებთ, აქ კიდევ უფრო ცუდი სურათი გვაქვს.

აი რა სურათია 1945 წელს მტს-ებში სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის შესრულებისა და მოსავლიანობის გეგმის შესრულების მხრივ. გორკის ოლქის მტს-ებმა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 130 პროცენტით შეასრულეს, მოსავლიანობის გეგმა კი მხოლოდ 81 პროცენტით, ტულის ოლქში სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, მოსავლიანობის გეგმა კი 77 პროცენტით.

იმადგენა კითხვა, რა ფასი აქვს სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებისათვის მტს-ების მიერ სამუშაოთა ისეთ შესრულებას, როცა შედეგად დაბალი მოსავალი გამოდის. საქმე აქ ის კი არ არის, რომ როგორმე მოჩინჩენი ნიადაგი, არამედ უნდა შეაქნაა კარგი მოსავლის მიღების სამდეგი წინაპირობები და დროულად აიღო იგი კომბაინებით.

საჭიროა, რომ მტს-ები იბრძოდნენ მოსავლისათვის, პასუხს აგებდნენ სახელმწიფოს წინაშე მათი მომსახურების კოლმეურნეობებში მოსავლიანობის გეგმების შესრულებისათვის—ამას ეყრდნობა მტს-ების მუშაობის დაგეგმვისა და სამუშაოთა შეფასების ახალი წესი, რომელიც გათვალისწინებულია პლენუმის დადგენილების პროექტით.

მტს-ებმა ყველაზე მძიმე სამუშაოები უნდა იკისრონ. აი, მაგალითად, ციმბირში, ყაზახეთსა და ნაწილობრივ ეოლეოსპირეთში არის შესაძლებლობა სწრაფად გაადიდონ მოსავალი ყამირისა და ნასვენის დამუშავებით. ამავე დროს კი, მტს-ები ცდილობენ თავი აარიდონ ამ სამუშაოებს და უფრო უშრეტრნაირ მოხნან რბილი და უკვე ათვისებული მიწები, იმიტომ რომ ასე უფრო იოლია სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის შესრულება.

შეიძლება მოგეკვანთო კიდევ ასეთი მაგალითი. ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სატრაქტორო ხნის წინასახნისაანი გუთნებით. ეს შესაძლებლობას იძლევა სწრაფად აღმოფხვრით მინდვრების დასარეველიანება და მნიშვნელოვანი გავლენა მოვახდინოთ მოსავლიანობის ამაღლებაზე. ამასთან დაკავშირებით ტრაქტორის გუთნებს ჩვენში წინასახნისებით უშეგებდნენ და უშვებენ. ბევრი მტს-ი კი, სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა უფრო იოლად რომ შეასრულოს და საწვავის მოჭეენებითი ეკონომია მიიღოს, გუთნებს წინასახნისებს აცლის და ეჭრნასახნისოდ ხნავს.

ბოლო უნდა მოვეღოთ ასეთ პრაქტიკას მტს-ებში და საესებით გამოვიყენოთ ყველა არსებული წინასახნისი, რითაა 1948 წელს მთელი სატრაქტორო ხნის ნახევარი მაინც წინასახნისიანი გუთნებით ჩავატაროთ, 1949 წლიდან კი მთლიანად გადავიდეთ წინასახნისიანი გუთნებით ხვნაზე.

მოსავლიანობით მტს-ების სუსტი დაინტერესების გაგრძელება ადგილს პოულობს სატრაქტორო ბრიგადებშიც. ძოქმედი სისტემა ტრაქტორისტების შრომის საგარანტიო ანაზღაურებისა ხატურით, როგორც გამოცდილებამ ცხადყო, არ იწვევს მათს დაინტერესებას მათ მიერ დამუშავებული კოლეურნეობათა მოსავლიანობის გეგმის შესრულებით, ხშირად

(ᲑᲐᲒᲠᲐᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ)

* დასასრული, დასაწყისი იხილე „კომუნისტი“ № 50.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲘᲡ Ი. ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ

მოსკოვი, კრემლი

ვტოვებ ჩა საბჭოთა კავშირს, ვისწრაფვი მოგახსენოთ ოქვენ ჩემი უდიდესი მადლობა პოლონეთის მთავრობის დელეგაციის მეგობრული მიღებისათვის მოსკოვში.

მოსკოვში წარმოებული ჩვენი მოლაპარაკების შედეგი უეჭველია კიდევ ერთ სეროიზულ ნაბიჯს შეადგენს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი კავშირის გაფაფარებისა და გაღრმავების გზაზე.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ Ი. ᲪᲘᲠᲐᲜᲐᲕᲘᲩᲘᲡ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ Ბ-ᲜᲘ Ე. ᲑᲔᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲜᲐᲖᲔ

მოსკოვი

გულითად მადლობას მოგახსენებთ ჩვენი გულთბილი მიღებისათვის მოსკოვში. მოსკოვში წარმოებულმა ჩვენმა ძოლაპარაკებამ კიდევ უფრო გაიღრმავა პოლონეთი-საბჭოთა კავშირის კავშირი, რომელიც მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ Ი. ᲪᲘᲠᲐᲜᲐᲕᲘᲩᲘᲡ

Ბ-ᲜᲘ Ე. ᲑᲔᲕᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ

8 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს ჩამოვიდნენ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ე. ბევინი და მისი თანმხლები პირნი.

ბელორუსის ვოგზალზე ბ-ნ ე. ბევინს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი კ. ვ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სოციმი ანგაფოელების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი, აგრეთვე წევრები დიდი ბრიტანეთის საელჩოსი სსრ კავშირში, ჩინეთის ელჩი ბ-ნი ფუ ბინ-ჩანი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი უ. სმიტი, თურქეთის ელჩი ბ-ნი ფ. აკფერი, ახალი ზელანდიის დესპანი ბ-ნი ჩ. ბო

ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ

ამხ. ა. ა. ანდრეევის მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

არა იმიტომ, რომ ტრაქტორისტები ცუდი ადამიანები არიან, არამედ იმიტომ, რომ ცუდია ანაზღაურების სისტემა, ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ჰექტარი შესარულონ ზერელე ხენით, დაჩოგონ საწვავი უფრო იოლი მუშაობით, გააჭიანურონ გაზაფხულზე მინდვრის სამუშაოთა დაწყება, რომ საწვავი არ გადახარჯონ. ეს კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს კოლმეურნეობებში. ამიტომ დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია, რომ ტრაქტორისტებს საკარანტინო მინიმუმი ნატურით მივიცეთ იმის მიხედვით, თუ როგორ შესრულდება მოსავლიანობის გეგმა, და მოსავლიანობის გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში, საგარანტიო ანაზღაურება ნატურით მცირდება ორ კილოგრამამდე შრომადღეზე.

გარდა ამისა, საჭიროა ლიკვიდირებულ იქნას საწვავის ეკონომიისათვის ტრაქტორისტების დაჯილდოების არასწორი პრაქტიკა, როცა ეს ეკონომია ცუდად შესრულებულ სატრაქტორო სამუშაოთა შედეგად გამოდის. საწვავის ასეთი ეკონომია არათუ არავითარ საერო არ არის, არამედ მავნეც არის, და ამიტომ მტს-ების დირექტორებს უნდა დავაალოთ არ მისცეს ტრაქტორისტებს პრემია საწვავის ეკონომიისათვის იმ შემთხვევაში, როცა იმ კოლმეურნეობაში, რომელსაც მომსახურებას უწევს მტს-ი, მოღებულია გეგმით გათვალისწინებულზე დაბალი მოსავლიანობა.

მტს-ების მუშაობის მესამე ნაკლია კოლმეურნეობებსა და მტს-ებს შორის სახელშეკრულო ურთიერთობის დაუცველობა. ზოგიერთი მტს-ი სრულებით აღარ სდებს ხელშეკრულებებს კოლმეურნეობებთან, სხვები ხელშეკრულებებს სდებენ დიდი დაგვიანებით და მხოლოდ ფორმისათვის, დადებულ ხელშეკრულებებს კი არ ასრულებენ. იგი რამდენიმე მაგალითი: სახელმწიფო კონტროლის სამინისტრომ შეამოწმა ომსკის, ჩოსტოვის, სარატოვის, ჩკალოვის ოლქების და უკრაინის 69 მტს-ის მუშაობა. შემოწმების მასალებით გამოირკვა, რომ ამ მტს-ების მომსახურების კოლმეურნეობათა 13 პროცენტს სრულებით არა აქვს ხელშეკრულება მტს-თან, 71 პროცენტი ხელშეკრულებებსა დადებული 2-დან 9 თვემდე დაგვიანებით.

კოლმეურნეობებსა და მტს-ებს შორის ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკა სავსებით უნდა იქნას აღდგენილი.

V

საპჭოთა მეურნეობების მუშაობის შესახებ

ცნობილია, რომ საბჭოთა მეურნეობები ჩვენში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და ასრულებენ სოფლის მეურნეობაში ჯერ-ერთი, როგორც მაღალსასქონლო, სახელმწიფო მეურნეობა, რომელსაც საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა აქვს მარცვლეული და ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში. მაგალითად, 1940 წელს საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 200 მილიონ ფუთამდე მარცვლეული, 270 ათასი ტონა ხორცი, 900 ათას ტონამდე რძე და 15 ათასი ტონა მატყლი. მეორე მხრივ, საბჭოთა მეურნეობები დიდ როლს ასრულებენ ჯიშიანი პირუტყვის მოშენებაში კოლმეურნეობათა პირუტყვის ჯიშიანობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე საჯიშე სათესლე მასალის წარმოებაში.

ომის დროს საბჭოთა მეურნეობებში ნათესი ფართობებისა და პირუტყვის სულადობის შემცირება მოხდა და საქმე ეხება იმას, რომ უახლოეს წლებში უზრუნველყოთ საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სერიოზული აღმავლობა.

ხუთწლიანი გეგმით დასახული საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობები 1950 წლის აყვანილი იქნას 10 მილიონ ჰექტარამდე და უკვე 1949 წელს საგნები აღდგენილ უნდა იქნას მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის სულადობა.

საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში დიდი ნაკლოვანებებია, რაც ხელს უშლის საბჭოთა მეურნეობების წარმატებით განვითარებას, ამ ნაკლოვანებებზეა ლაპარაკი დადგენილების პროექტში. მე მხოლოდ ორ ძირითად ნაკლზე შეეჩერდები.

ჯერ-ერთი, ისეთ დიდ ნაკლზე, როგორიცაა საბჭოთა მეურნეობებში მეურნეობის მხოლოდ ერთი დარგის უპირატესი განვითარება. როგორც ცნობილია, საბჭოთა მეურნეობები იყოფა მეცხოველეობის, მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებად.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ პარტიის XVII ყრილობაზე ამბობდა იმ დიდი ნაკლის შესახებ, რომ ჩვენ მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობები მეტისმეტად მსხვილია, მეტისმეტად სპეციალიზებულია და თავიანთ შემადგენლობაში მეცხოველეობა არ მოეპოვებათ.

ამის შემდეგ ზოგი რამ გაკეთდა, მაგრამ მაინც ძირითადად საბჭოთა მეურნეობების მიმართულება კვლავ ცალმხრივია, ამავე დროს კი ცხადია, რომ არ შეიძლება სოფლის მეურნეობა ვაწარმოოთ როგორც ცალმხრივი მეურნეობა, ეს ეკონომიურად არაბალსაყრელია, მთელი რესურსების, მიწის, მუშახელის გამოყენების თვალსაზრისით. ეი ავიღოთ თუნდაც მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობები. მათ აქვთ 8,5 მილიონი ჰექტარი მიწის ფართობი და მხოლოდ 2,5 მილიონი ჰექტარი ნათესი ფართობი, პირუტყვი კი მხოლოდ 640 ათასი სული ჰყავთ. როგორც ზედავთ, გამოუყენებელი მიწა მათ ძალიან ბევრი აქვთ, პირუტყვი კი ძალიან ცოტა ჰყავთ, 10 ჰექტარ ფართობზე 1 სულზე ნაკლები, ამის შედეგად უამრავი სანოვაგენი, სათბი მიწები ფუჭად ცდება.

მუშახელის გამოყენების თვალსაზრისითაც — გაზაფხულის და ზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში საბჭოთა მეურნეობებს ბევრი მუშახელი ესაჭიროებთ, ზამთარში კი ეს მუშახელი გამოუყენებელი რჩება. გამოდის რაღაც სეზონური მეურნეობა. ეს საბჭოთა მეურნეობებში მუდმივი კადრების შექმნასაც უშლის ხელს.

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებზე სხვა რამ უნდა ითქვას, რომ იქ ძალიან ნაკლებად არის განვითარებული მარცვლეული და სხვა კულტურების ნათესი, ამავე დროს კი განვითარებული მუშინდერების არსებობა დამატებთს რესურსებს შეუქმნიდა საბჭოთა მეურნეობებს მეცხოველეობის განვითარებაში.

მაგალითისათვის მოვიყვან ორ საბჭოთა მეურნეობას, რათა ცხადყოფ საბჭოთა მეურნეობების მეურნეობაში ვიწრო სპეციალიზაციის არახელსაყრელობა.

ეი კრასნოდარის მხარის ორ მარცვლეულ საბჭოთა მეურნეობას — „ყუბანსა“ და „კრასპოტენსკის“ მიწის ერთნაირი ფართობი აქვს, თვითეულს 18 ათას ჰექტარამდე. საბჭოთა მეურნეობა „ყუბანი“ მრავალ დარგიანი მეურნეობა და განვითარებული მეცხოველეობა აქვს, ხოლო საბჭოთა მეურნეობა „კრასპოტენსკი“ ვიწრო სპეციალიზებული, მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაა. პირველში 6 ათასი სული პირუტყვია, მეორეში კი მხოლოდ 620 სული. 1945 წელს საბჭოთა მეურნეობა „ყუბანმა“ მემინდვრეობისა და მეცხოველეობისაგან 2 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღო, ხოლო საბჭოთა მეურნეობა „კრასპოტენსკის“ მხოლოდ 700 ათასი მანეთი.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი საბჭოთა მეურნეობები უნდა განვითარდეს არა მეურნეობის ცალმხრივი წარმეობის მიმართულებით, არამედ როგორც მეცხოველეობისა და მემინდვრეობის კომბინირებული მეურნეობანი.

მეორე დიდი ნაკლი, რომელიც სეროიოზულად უმჯობესს ხელს საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის აღმავლობას, არის მუდმივი კადრების ნაკლებობა, მათი ფluctuation. ხალხი სამუშაოზე არ რჩება: ხან მოდიან, ხან მიდიან. უმუდმივკადრებოდ კი საბჭოთა მეურნეობების რიგი მეურნეობის წარმატებით წარმოება არ შეიძლება. როგორ შეეგმნათ ეს მუდმივი კადრები?

დადგენილების პროექტით დასახულია საბჭოთა მეურნეობის მუშების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისათვის დამარების საკმაოდ სერიოზული ღონისძიებანი, რათა მათ შეეძლოთ დარჩნენ სამუშაოდ საბჭოთა მეურნეობებში. მარცვლეულისა და მეცხოველეობის რაიონებში საბჭოთა მეურნეობებში პირადი მეურნეობისათვის საკარმიდამო ნაკვეთების ოდენო“ 3. ამჟამად არსებული 0,15 ჰექტარის ნაცვლად 0,5 ჰექტარამდე ოდენდა, დასახულია საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებისათვის კრედიტის გამოყოფა საკუთარი სახლების ასაგებად.

შეიძლება ეჭვი არ ვიქონოთ, რომ საბჭოთა მეურნეობების ვიწრო სპეციალიზაციის არასწორი სისტემის ლიკვიდაცია და მუდმივი საკუთარი კადრების შექმნა უზრუნველყოფს საბჭოთა მეურნეობების მეურნეობის სწრაფ აღმავლობას.

VI

კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების საკითხების შესახებ

უწინარეს ყოვლისა ასეთი საკითხებს ეკუთვნის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების იმ სერიოზულ დარღვევათა ბოლომდე გამოსწორება, რომლებიც გამოაშკარავა სსრ აკადემიის მინისტერთა სამეჭოს ოქტომბერის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილებამ.

მთავრობასთან არსებულ კოლმეურნეობების საქმეთა საბჭოში განხილულ იქნა როგორც მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, ისე ცალკეულ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში ამ დადგენილების გატარების წინასწარი შედეგები.

მოვიყვან ზოგიერთ ცნობას. 222 ათასი კოლმეურნეობიდან 1947 წლის პირველ იანვრისათვის საზოგადოებრივი მოწმენი 198 ათას კოლმეურნეობაში, გამორკვეულია საკოლმეურნეო მიწების დატაცების 2.255 ათასი შემთხვევა, კოლმეურნეობებს დაუბრუნდა 4,7 მილიონი ჰექტარი საზოგადოებრივი მიწა, მათ შორის სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებისაგან — 4 მილიონი ჰექტარი, კოლმეურნეთაგან — 521 ათასი ჰექტარი და სხვა პირთაგან — 177 ათასი ჰექტარი.

შემცირებულია კოლმეურნეობათა ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის ზედმეტი შტატები 456 ათასი კაცით და, გარდა ამისა, შრომადღეებით ანაზღაურებისაგან მოხსნილია 182 ათასი კაცი, რომელთაც კოლმეურნეობებთან დამოკიდებულება არა აქვთ, გამოვლინებულ იქნა და კოლმეურნეობებს დაუბრუნდა ყანაწინდა 140 ათასი სული პირუტყვი და 15 მილიონ მანეთამდე ფულადი სახსრები. საკოლმეურნეო მიწისა და ქონების დატაცებაში დამნაშავეები სათანადოდ დასაჯენენ.

ეს ცნობები ერთის მხრივ მოწმობენ იმას, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების შემდეგ აღგილებზე გაწეულია დიდი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა გამოსასწორებლად, ხოლო მეორე მხრივ ეს ცნობები მოწმობენ იმას, რომ ადგილებზე დაშვებულ იქნა სერიოზული დამაბინძეებანი კოლმეურნეობათა მიმართ.

უნდა ვთქვა, რომ როგორც კი მიღებულ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, ჩვენი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უმეტესობამ სერიოზულად მოეკიდა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეს. მაგრამ ანგარიშებისა და ჩატარებული შემოწმების საფფეველზე შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ოლქი მაინც არადამაკმაყოფილებლად ახორციელებს ამ დადგენილებას. ცუდად არის ჩატარებული კოლმეურნეობებისათვის მიწის დაბრუნება ომსკის, კემეროვოს და ვინიცის ოლქებში, სადაც კოლმეურნეობათა ერთ მეოთხედან მიწები არც კი აუზომავთ; არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალის შემცირება ტულის, ბრიანსკის, ტომსკის ოლქების კოლმეურნეობებში; კოლმეურნეობებისათვის ქონების დაბრუნების მხრივ ჯერ კიდევ ცუდად მიმდინარეობს საქმე ივანოვოს ოლქში, კრასნოიარსკის მხარესა და უზბეკეთის ზოგიერთ ოლქში.

როგორ მოხდა, რომ, სასტიკ გფფრხილებათა მიუხედავად, რაც გაკეთებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1939 წელს, ეს დამაბინძეებანი განმეორდა?

ამხანაგი სტალინი სოფლად მუშაობის საკითხზე ჯერ კიდევ 1933 წელს ამბობდა, რომ „ბოდასელი კოლეტერტერ მეურნეობაზე, როგორც მეურნეობის გაბატონებულ ფორმაზე, კი არ ამეტრებს, არამედ ადიდებს ჩვენს ზრუნვას სოფლის მეურნეობის მიმართ, კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს კომუნისტების ხელმძღვანელ როლს სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში“, და რომ პარტიამ „ახლა თავის ხელში უნდა აიღოს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა, იკისროს პასუხისმგებლობა მუშაობისათვის და დაიბრძოლოს კოლმეურნეებს წინ წასწინონ თავისი მეურნეობა“, „რომ პარტიამ კი არ უნდა შეაესუსტოს, არამედ უნდა გააძლიეროს თავისი კავშირი კოლმეურნეებთან, რომ მან უნდა იცოდეს ყველაფერი, რაც ხდება კოლმეურნეობებში, რათა თავის დროზე გაუწიოს დამხმარება და თავიდან აიცილოს კოლმეურნეობებს მოსალოდნელი საფრთხე“.

ეტყობა, ბევრმა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ დაივიწყა ეს გაფრთხილებანი და კოლმეურნეობების ხელმძღვანელობის მხრივ თავისი მოვალეობანი, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის პოლიტიკიდან, დაივიწყა თავისი ძთავარი ამოცანა—განამტკიცოს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა. ამის შედეგად ბევრი ჩვენი პარტიული ორგანიზაცია კვლავ დადგა კოლმეურნეობების მიმართ სერიოზულ დამაბინძეებათა და დარღვევათა ფაქტის წინაშე.

მაშასადამე, ახლა საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ბოლომდე მიეიყვანოთ ნაკლოვანებათა გამოსწორება, არამედ ისიც, რომ წინასწარაც უზრუნველყოთ ჩვენი თავი ამ ნაკლოვანებათა განმეორებისაგან; ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ პარტიის პოლიტიკის ყოველდღიური, სწორი გატარებით და კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუფუჭებლებით.

მეორე დიდმნიშვნელოვანი საკითხია კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და შრომადღეების განაწილების საქმეში ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მიღების დღიდან 12 წელი გავიდა. მას შემდეგ ჩვენი კოლმეურნეობები ზორს წავიდნენ წინ, მდიდარი გამოცდილება შეიძინეს და ზოგი რამ უნდა ვანახლოდეს და გაუმჯობესდეს.

კოლმეურნეობების პრაქტიკაში შრომადღეების ანაზღაურებასა და განაწილებაში გათანაბრების არსებობა, მოძველებული და შემცირებული გამოშუშავების ნორმების არსებობა, რაც იწვევს შრომადღეების ფლანგვას,—ყოველივე ეს სერიოზულად აფერხებს კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდებას და კოლმეურნეობათა შეუფარგმ განმტკიცებას. კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილებაში გათანაბრების ფესვები იმ არასწორ პრაქტიკაში მარხია, რომ შრომადღეების დარიცხვა ხდება არა იმის მიხედვით, თუ რა მოსავალია მიღებული ბრიგადებსა და რგოლებში.

ხდება ხოლმე, და ძალიან ხშირადაც, რომ ბრიგადამ ან რგოლმა ბევრი შრომადღე დახარჯა, მაგრამ ცუდი მოსავალი მოიყვანა იმის გამო, რომ მინდვრის სამუშაოები ცუდად იყო მოწმენილი, არაკეთილსინდისიერად ან დაგვიანებით იყო შესრულებული, ხოლო მეორე ბრიგადა ან რგოლი შრომადღეებს მომჭირეულ ხარჯავდა, მინდვრის სამუშაოები უფრო გულმოდგინედ შეასრულა და თავისი მუშაობით კარგი მოსავალი მისცა კოლმეურნეობას. მაგრამ, დარიცხული შრომადღეების მიხედვით შემოსავლის განაწილების არსებული წესის გამო, იმ ბრიგადებს ან რგოლებს, რომლებიც ცუდად მუშაობდნენ, მაგრამ ბევრი შრომადღეე დახარჯეს, შეეძლოთ მეტი შემოსავალი მიეღოთ კოლმეურნეობისაგან, ვიდრე იმ ბრიგადებმა ან რგოლებმა, რომლებიც შრომადღეებს მომჭირნეულ ხარჯავდნენ და თავიანთი შრომით უკეთესი შედეგი მოგვეცეს.

გამმარტებისათვის შემოძლია დავიმოწმო ორი მაგალითი, რომლებიც მოყვანილია ამხანაგ დორონინისა და ამხანაგ ოესუბეროვის ჩანაწერებში—ერთი მაგალითი მარცვლეულის, მეორე კი ტექნიკური კულტურების დარგში.

ყურსკის ოლქის კოლმეურნეობა „კრასნაია ზარიას“ ერთ-ერთი ბრიგადის ორ რგოლში შრომისუნაყოფიერადა თანაბარი რაოდენობა და თანაბარი ნათესი ფართობია. ბურიანენკოს რგოლმა ჰექტარზე 8 ცენტნერი მარცვლეულის მოსავალი მიიღო, გამოიმუშავა 2.200 შრომადღე, ერდენკოს რგოლმა ჰექტარზე 3,4 ცენტნერი მოსავალი მიიღო, ხოლო შრომადღე 2.300 გამოიმუშავა. მაგრამ რედენკოს რგოლმა, რომელმაც უფრო ცუდად იმუშავა და ერთიორად ნაკლები მოსავალი აიღო, კოლმეურნეობისაგან მეტი პური მიიღო, რადგან მეტი შრომადღე გამოიმუშავა. მეორე მაგალითი. ტაშკენტის ოლქის კოლმეურნეობა „ყზილ-ტულუბეი“ ბეგიმეტოვოს რგოლმა 1945 წელს ჰექტარზე 28 ცენტნერი ბამბა აიღო, მეორე რგოლმა — კოლდაშევამ თვითეულ ჰექტარზე 15 ცენტნერი მოსავალი მოიყვანა, ხოლო ორივე რგოლმა თანაბარი ფულადი ანაზღაურება მიიღო, კოლდაშევის რგოლმა კი, რომელმაც ნაკლები მოსავალი აიღო, შრომადღეებზე მეტი მარცვლეულიც კი მიიღო, რადგან ამ რგოლს მეტი შრომადღეები აქვს დარიცხული.

რასაკვირველია, ეს სამართლიანი არ არის. ამიტომ საჭიროა ისეთი წესები გამოვიყენოთ შრომადღეებისა და შემოსავლის განაწილებაში, რომლებიც წაახალისებენ კარგად მომუშავე კოლმეურნეებს და ლიმოფხვრიან მათი შრომის ანაზღაურებისადმი უსამართლო დამოკიდებულებას. ცხადია, რომ ბრიგადებს შორის, ხოლო ბრიგადებში — რგოლებსა და კოლმეურნეებს შორის შრომადღეებისა და შემოსავლის განაწილება რამდენადმე დამოკიდებული უნდა გაუგბათო მიღებულ მოსავალზე.

გათანაბრების აღმოფხვრა და გამომუშავების ნორმების გაუმჯობესება აუცილებლად შეუწყობს ხელს კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების შემდგომ აღმავლობას.

მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შემოღებამ გაუმჯობესება შეიტანა კოლმეურნეთა დაინტერესებულობაში, მაგრამ ვერ გადაწყვიტა ძირითადი ამოცანა — გათანაბრების ლიკვიდაცია შრომადღეების ძირითად ანაზღაურებასა და განაწილებაში.

სხვადასხვა ოლქებში კოლმეურნეობები და ადგილობრივი ორგანიზაციები ზომებს იღებენ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების წესების გასაუმჯობესებლად, და ეს მაშინვე ადგილს გაფენენ ამ კოლმეურნეობათა სამეურნეო შედეგებზე.

კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების საკითხებზე ჩვენ უკვე გვაქვს წონადადებანი უკარიბის, ტულის, ვორკის ოლქების, უზბეკეთის მხრივ. კოლმეურნეობების საქმეთა საბჭო მთელი რიგი კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა მონაწილეობით, იხილავს ამ წინადადებებს, რათა უახლოეს ხანში შეიტანოს მთავრობისადმი თავისი სათანადო წინადადებანი.

VII

სოფლის მეურნეობის კადრების შესახებ

სოფლის მეურნეობის უსწრაფესი აღმავლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, რასაკვირველია, სოფლის მეურნეობის კადრების განმტკიცების საკითხი. ცნობილია, რომ ომის დროს კოლმეურნეობების, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების მეშვიდგენლობა რამდენადმე მეიცვალა და კადრების ერთგვარი შესუფება მოხდა.

რა ამოცანები დგას სოფლის მეურნეობისათვის საჭირო კადრების მხრივ?

მტს-ების მხრივ დგას მტს-ების დირექტორთა ვალიფიკაციის ამაღლების საკითხი. ჩვენში საკმაოდ ბევრი ვამოიზარდა გამოცდილი პრაქტიკოსი —მტს-ის დირექტორი, მაგრამ აშკარად საკარნინოა მტს-ების ხელმძღვანელთა ტექნიკური და აგრონომიული ცოდნის ნაკლებობა. მტს-ების დირექტორთა შემადგენლობაში აგრონომეთა მხოლოდ 13 პროცენტია, ინჟინერები და ტექნიკოსები—5 პროცენტი, ხოლო დირექტორთა 82 პროცენტს სასოფლო-სამეურნეო განათლება არა აქვს; მტს-ების აგრონომთა საერო რაოდენობიდან უმაღლესი განათლება აქვს 2.300 კაცს. ს

ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ

ამხ. ა. ა. ანდრეევის მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

(დასასრული)

ბისი მუშაკები. ეს სწორია და, რასაკვირველია, შეჰქმნის სპეციალისტების სწრაფებას წარმოებისაკენ.

მეორე მხრივ, შემოღებულ იქნება უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულ პირთა სტაჟის გავლის წესი, რომლის მიხედვითაც ისინი იგზავნებიან მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, უბნებში და ერთ წელიწადს მუშაობენ უმცროსი აგრონომის თანამდებობაზე, რათა საჭირო პრაქტიკული გამოცდილება შეიძინონ. ესეც შეუნარჩუნებს სპეციალისტებს წარმოებას.

საჭიროა კიდევ აღინიშნოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების არასაკმაო მოცულობა. სულ ჩვენში 88 უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში 59 ათასი სტუდენტი სწავლობს, მათ შორის 25 ათასი მომავალი აგრონომი. 1946 წელს გამოშვებული იყო სოფლის მეურნეობის 4,6 ათასი სპეციალისტი, ხოლო აგრონომი 2,5 ათასი. 558 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში 140 ათასი სტუდენტი სწავლობს და 1946 წელს გამოშვებულ იქნა საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე 25 ათასი სპეციალისტი. აქ საქმის ვითარება რამდენადმე უკეთესია. მაგრამ ეს ძალიან ცოტაა, ჩვენ ხომ ბევრი აგრონომი გვესაჭიროება, საერთოდ პერსპექტივაში ჩვენ იქითკენ უნდა მივისწრაფოდეთ, რომ კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის სათავეში იდგეს განათლებული ადამიანი, რომელსაც თუ უმაღლესი არა, საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლება მაინც ჰქონდეს მიღებული. ამ მხრივ სოფლის მეურნეობა ძლიერ ჩამორჩა მრეწველობას. ახლა ძალიან იშვიათად შეხვდება კაცი თუნდაც პატარა ქარხანას, რომლის სათავეში ინჟინერი არ იდგეს. მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადების მოცულობა საკმარისი არ არის და საჭიროა მისი გადიდება.

დადგენილების პროექტში ჩაწერილია, როგორც ერთ-ერთი ღონისძიება—საშუალო განათლების მქონე აგრონომთა მომზადების გადიდება, თვითეულ ოლქში სამწლიანი აგრონომიული სკოლების მოწყობის გზით.

უნდა აღინიშნოს, როგორც სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლო მომზადების სერიოზული ნაკლი, ის, რომ ახალგაზრდა აგრონომები საკმაო ცოდნას ვერ იღებენ საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ორგანიზაციის საკითხებში, ცუდად იცნობენ ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ხოლო თანამედროვე აგრონომი ძველი ტიპის კულტუროსან-მრჩეველი კი არ არის, არამედ ორგანიზატორია და მას მუდამ საქმე აქვს მეურნეობის ორგანიზაციის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებთან. ამიტომ საჭიროა სერიოზულად შევასწოროთ სასწავლო პროგრამები, გვქონდეს სახელმძღვანელოები შრომის ორგანიზაციის, მექანიზაციის დარგში და სათანადოდ მოვაწყოთ საწარმოო პრაქტიკა ჩვენს მსხვილ მეურნეობებში: კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში.

VIII
დამზადებათა საკითხების შესახებ

დადგენილების პროექტში დამოუკიდებელ თავად არის შეტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა საკითხი. რატომ წამოიჭრა ეს საკითხი?

ცნობილია, რომ 1940 წლამდე ჩვენში არსებობდა პრინციპი, კოლმეურნეობების მიერ სავალდებულო ჩაბარებისა ნათესი ფართობების მიხედვით — მემინდვრეობის პროდუქტების დამზადებისას და პირუტყვის სულადობის მიხედვით — მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისას.

1940 წელს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღიარებულ იქნა, რომ ეს პრინციპი აღარ შეეფერება არც კოლმეურნეობათა განვითარების ინტერესებს და არც სახელმწიფოს ინტერესებს და ამიტომ გაუქმებულ იქნა. შემოღებულ იქნა სავალდებულო ჩაბარებათა გამოანგარიშების ახალი კანონი ჰექტარი სახნავი მიწის მიხედვით — მემინდვრეობის პროდუქტების ჩაბარების დავალებათა მიცემისას და კოლმეურნეობებისათვის მიმაგრებული თვითეული ჰექტარი მიწის ფართობის მიხედვით—მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების დავალებათა მიცემისას.

რატომ იქნა გაუქმებული დამზადებათა ძველი კანონი? იმიტომ, რომ იგი ზღუდავდა კოლმეურნეობათა ნებისყოფას ნათესების გაფართოებასა და პირუტყვის სულადობის გადიდებაში, იმიტომ, რომ, რაც უფრო ადიდებდა კოლმეურნეობა ნათესსა და პირუტყვის სულადობას, მით უფრო მეტი მარცვლეული და პირუტყვი უნდა ჩაებარებინა ჩაბარებათა ანგარიშში და პირიქით, რაც უფრო ნაკლებს სთესავდა და ნაკლებ პირუტყვს აშენებდა კოლმეურნეობა, მით უფრო ნაკლები უნდა ჩაებარებინა. ცხადია, რომ დამზადებათა ასეთი წესი აფერხებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას.

მემინდვრეობის პროდუქტების დარგში ჰექტარი სახნავის მიხედვით და მეცხოველეობის პროდუქტების დარგში ჰექტარი მიწის მიხედვით სავალდებულო ჩაბარებათა პრინციპის ძალა და პროგრესული ხასიათი ის არის, რომ იგი სტიმულს აძლევს კოლმეურნეობებს მათი საზოგადოებრივი მეურნეობის გაფართოებისათვის, სპობს ყოველგვარ შეზღუდვას, აინტერესებს კოლმეურნეობებს ახალი მიწების ათვისებით და პირუტყვის სულადობის გადიდებით.

სავალდებულო ჩაბარებათა ამ ახალ პრინციპში კარგად არის გაერთიანებული როგორც კოლმეურნეობათა ინტერესები, ისე სახელმწიფოს ინტერესები, და უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონის გამოყენების პირველსავე წელს — 1940 წელს მისმა ამ პროგრესულმა მნიშვნელობამ მკაფიოდ იჩინა თავი.

კოლმეურნეობათა ნათესი ფართობი 1940 წლის განმავლობაში 3 მილიონი ჰექტარით გადიდდა და კოლმეურნეობებისაგან შემოვიდა 400 მილიონი ფუთით მეტი მარცვლეული, მათ შორის სავალდებულო ჩაბარებათა ხაზით 276 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე წინა 1939 წელს, ხოლო კოლმეურნეობების პირუტყვის საერთო სულადობა 1940 წლის განმავლობაში 12 მილიონი სულით გადიდდა.

მაშასადამე, აქედან გამომდინარეობს, რომ დამზადებათა წინანდელ პრინციპზე დაბრუნება კოლმეურნეობათა ინტერესებისა და სახელმწიფოს ინტერესების პირდაპირ საწინააღმდეგო იქნებოდა.

ამიტომ დადგენილების პროექტში სწორად არის ნათქვამი, რომ მხოლოდ საკოლმეურნეო წყობილების მოწინააღმდეგეებს, რომელთაც არ ესმით სახნავი მიწის თვითეული ჰექტარის მიხედვით სავალდებულო ჩაბარებათა გამოანგარიშების კანონის პროგრესული მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის, შეუძლიათ უკან ეწეოდნენ პარტიას ნათესი ფართობების მიხედვით ჩაბარებათა პოლიტიკისაკენ, რომელიც გაუქმებულია როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის შეუფერებელი.

1940 წელს მიღებული კანონი დამზადებათა შესახებ ინარჩუნებს მთელ თავის ძალასა და პროგრესულობას ომის შემდეგ შექმნილ პირობებშიც და უნდა დარჩეს, ხოლო მისი უარყოფის ყოველი ცდა დაგმობილ უნდა იქნას, ვინაიდან ყოველგვარი განწყობილება და მერყეობა შემოღებული კანონის გადასინჯვისაკენ მავნეა და ძირს უთხრის პურის დამზადებათა საქმეს.

კოლმეურნეობებში და მრავალმიწიანი რაიონების ადგილობრივ მუშაკებში სხვა განწყობილებაც არის — შეამცირონ სახნავი მიწის ფართობი დავალებათა მისაცემად ანდა მრავალმიწიან კოლმეურნეობათა მიწის ნაწილი სახელმწიფო ფონდში გადარიცხონ. ესეც არასწორი განწყობილებაა, რასაც მივყევართ არა მიწების გამოყენების გაფართოებისა და ნათესი ფართობების გადიდებისაკენ, არამედ მათი შეზღუდვისაკენ.

ომისდროინდელ და ომისშემდგომ ვითარებასთან დაკავშირებით ერთგვარი სიძნელეები შეიქმნა ჩაბარებათა შესახებ არსებული კანონის გატარების მხრივ; ეს სიძნელეები იმაში მდგომარეობს, რომ მრავალმიწიანი რაიონების კოლმეურნეობებში ნათესი ფართობი შემცირდა, იკლო ტრაქტორების რაოდენობამ მტს-ებში და ცოცხალმა გამწევმა ძალამ კოლმეურნეობებში, შემცირდა ადამიანთა რაოდენობა, რის შედეგადაც კოლმეურნეობათა ნაწილი მათზე მიმაგრებული მიწის დიდი რაოდენობით საძნელო მდგომარეობაში აღმოჩნდა სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებათა შესრულებაში იმის გამო, რომ ამ კოლმეურნეობებში მიწების ათვისება შემცირდა, დავალებათა მიცემის ნორმები კი წინანდელი დარჩა.

მეორე მხრივ, სავალდებულო ჩაბარებათა გეგმის შესრულებისთვისაც შეიქმნა მისი უზრუნველყოფის სიძნელეები. როგორ უნდა გადაწყდეს დამზადებათა ეს საკითხები თანამედროვე პირობებში?

უნდა გამოინახოს მრავალმიწიანი რაიონების კოლმეურნეობათა მიმართ ჩაბარებათა კანონის გამოყენების უფრო მოქნილი ფორმები. საქმე ეხება ისეთ მრავალმიწიან რაიონებსა, როგორიცაა ციმბირი, ყაზახეთის ჩრდილოეთი ოლქები, ვოლგისპირეთი. რაც შეეხება ცენტრალურ, სამხრეთ, დასავლეთ რაიონებსა და უკრაინას, სადაც კოლმეურნეობებში მეტი ხალხია, ეს საკითხები სხვანაირად დგას.

პლენუმის წინ სოფლის მეურნეობის საკითხების განხილვისას ამხანაგმა სტალინმა წინადადება წამოაყენა—გამოყენებულ იქნას სავალდებულო ჩაბარებათა სხვადასხვა ნორმები მრავალმიწიანი რაიონების კოლმეურნეობებში და ნაცვლად ერთი ნორმისა რაიონის კოლმეურნეობებისათვის. როგორც ეს ჩვენში დადგენილია კანონით, ვიქონიოთ რამდენიმე, რათა ამ სხვადასხვა ნორმებით მხედველობაში მივიღოთ განსხვავება კოლმეურნეობების მიერ მიწების ათვისებაში.

აქედან ის გამომდინარეობს, რომ მრავალმიწიან რაიონებში იმ კოლმეურნეობებისთვის, რომლებშიც მიწების ათვისება დაბალია და ხალხი ცოტაა, ნორმებიც უფრო დაბალი უნდა დაწესდეს, იმ კოლმეურნეობებისათვის კი, სადაც ხალხი და მიწების ათვისების საშუალებანი უფრო მეტია, უნდა დაწესდეს ჩაბარების უფრო მაღალი ნორმები.

რაც შეეხება იმ რაიონებს, სადაც კოლმეურნეობების მიერ მიწის ათვისება ხდება და სადაც მუშახელი საკმარისია, მათთვის ნორმები რამდენადმე უნდა გადიდდეს.

ასეთი მოქნილი სისტემა სავსებით ძალაში სტოვებს კანონს დამზადებათა შესახებ და გამოსავალს აძლევს მრავალმიწიან კოლმეურნეობებს, ამიტომ მთლიანად ამოსწურავს საკითხს ომისშემდგომ პირობებში კანონის გატარების სიძნელეთა შესახებ.

რამდენიმე სიტყვა იმ კოლმეურნეობებზე, რომლებსაც მომსახურებას არ უწევენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. პროექტი მათთვის ითვალისწინებს მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებათა ნორმების 25 პროცენტით გადიდებას ნაცვლად ამჟამად არსებული 15 პროცენტისა იმ კოლმეურნეობებისათვის დაწესებულ ნორმებთან შედარებით, რომლებსაც მომსახურებას უწევენ მტს-ები. ასეთი გადიდების აუცილებლობა იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებსაც მტს-ები არ უწევენ მომსახურებას, იქიდან გამომდინარეობს, რომ ერთი და იმავე რაიონის ფარგლებში კოლმეურნეობები, რომლებსაც მტს-ები არ უწევენ მომსახურებას, უფრო ხელსაყრელ პირობებში არიან. ფაქტიურად კოლმეურნეობები, რომლებსაც მტს-ები უწევენ მომსახურებას, სავალდებულო ჩაბარებათა და ნატურანაზღაურებათა მიხედვით 40-50 პროცენტით მეტს აბარებენ, ვიდრე ის კოლმეურნეობები, რომლებსაც მტს-ები არ უწევენ მომსახურებას. ეს, რასაკვირველია, სამართლიანი არ არის იმ კოლმეურნეობათა მიმართ, რომლებსაც მტს-ები უწევენ მომსახურებას, სწორედ ამიტომ საჭიროა ნორმების შესწორება.

მინდა შევჩერდე დამზადებათა კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე—ეს არის საკითხი ხორბლისა და ჭვავის შვრიით, ქერითა და ფეტვით შეცვლის არსებული ეკვივალენტისა იმ შემთხვევებში, როცა მთავრობა ნებას რთავს, გამონაკლისის წესით, მიღებულ იქნას კოლმეურნეობებისაგან შვრია, ქერი ან ფეტვი სახელმწიფოსათვის ხორბლისა და ჭვავის ჩაბარების ვალდებულებათა ანგარიშში.

საქმე ის არის, რომ ჩვენში ხორბალი და ჭვავი არახელსაყრელ მდგომარეობაში ექცევა სხვა კულტურებით მათი შეცვლისას. ამჟამად ასეთი ეკვივალენტი მოქმედებს—1 ფუთი ხორბალი უდრის ფუთ ფეტვს, ფუთსა და 10 გირვანქა ქერსა და შვრიას. ასევეა ჭვავი—1 ფუთი ჭვავი უდრის ფუთ ფეტვს, ფუთსა და 7 გირვანქა ქერსა და შვრიას. ამიტომ ხშირად აბარებენ საფურაჟე კულტურებს სასურსათო კულტურების ანგარიშში, ჩვენ კი უნდა წავახალისოთ ხორბლისა და ჭვავის წარმოება და გავადიდოთ მათი დამზადება და შესაბამისად შევცვალოთ ხორბლისა და ჭვავის სხვა კულტურებით შეცვლის ეკვივალენტი.

ამხანაგებო! დამზადებათა საკითხს მუდამ და მით უმეტეს ახლა, სოფლის მეურნეობის ერთგვარი სიძნელეების პირობებში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობაში.

შარშან პარტიის ზოგიერთი საოლქო კომიტეტი და საოლქო აღმასკომი დამზადებათა გეგმის უზრუნველყოფის საქმეში თავის სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა და სერიოზული შეცდომები ჩაიდინა. ეს შეცდომები იმაში მდგომარეობდნენ, რომ პურის დამზადება გაჭიანურდა, პური ნელა ილეწებოდა, დაშვებული იყო მარცვლეულის დიდი დანაკარგი. ზოგიერთ ოლქში საქმე ისე იყო, რომ არადიფერენცირებული მიდგომის გამო ცალკეული რაიონები და კოლმეურნეობები სავსებით გამორჩენილი იყვნენ ყურადღებიდან, ცუდად ასრულებდნენ გეგმას, ანდა სრულიადაც არ მონაწილეობდნენ პურის დამზადებაში.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა 1947 წელს აუცილებლად შეასრულოს თვითეულმა რაიონმა, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, ხოლო მთელი მუშაობა დამზადებათა დარგში სერიოზულად უნდა გაუმჯობესდეს.

IX
სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ

ასეთია ჩვენი ამოცანები, რომლებიც დგას სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში. თავისთავად იგულისხმება, რომ მათი წარმატებით გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ყველაზე ძირითადი პირობის შესრულებით—სოფლის მეურნეობისადმი როგორც სასოფლო-სამეურნეო სამინისტროებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების, ისე რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებსა და რაიონებში პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებით.

თქვენ ძალიან კარგად იცით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ორგანიზატორულ მუშაობას და სოფლის მეურნეობისა და კოლმეურნეობებისადმი სწორ ხელმძღვანელობას. ეს მუდამ შეიძლება დავინახოთ კონკრეტული მაგალითებით და ცალკეული ოლქების, რაიონების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშაობის შედეგებით, სადაც უზრუნველყოფილია სწორი ხელმძღვანელობა და სისტემატური ორგანიზატორული მუშაობა, იქ მუდამ, სოფლის მეურნეობის ყველა სიძნელეთა დროსაც კი, სულ სხვა შედეგებს იღებენ გეგმის შესრულებაში.

იმისათვის, რომ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ მთელი ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი თავიდან ბოლომდე, საჭიროა ბოლო მოვუღოთ ამ მხრივ არსებულ დიდ ნაკლოვანებებს.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ითქვას სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების მხრივ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებზე.

წინანდელი მიწსახკომისა და ცალცალკე სამინისტროთა დიდი ნაკლი იყო ოპერატიული ხელმძღვანელობის სისუსტე. საკითხები დაგვიანებით სწყდებოდა, ინიციატივა ნაკლები იყო და თითქმის სრულებით არ ხდებოდა შესრულების შემოწმება — ბრძანება ბევრი იყო, ხოლო შემოწმება არა. ამას უნდა დაემატოს კიდევ ადგილობრივი სამიწათმოქმედო ორგანოების სისუსტე და უავტორიტეტობა.

სერიოზული ნაკლი ის იყო, რომ სამინისტროებში ბევრი იყო თავმოყრილი ყოველგვარი სამმართველო, განყოფილება და ხელმძღვანელობა დაქუცმაცებული იყო, რის შედეგადაც, მაგალითად, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მართვის საქმე დაქსაქსული იყო მიწათმოქმედების სამინისტროს მრავალ მთავარ სამმართველოში, რაც აძნელებდა მტს-ებისადმი ხელმძღვანელობას, მანქანების რემონტის წარმოების, მტს-ებისათვის კადრების შერჩევისა და მომზადების საქმეს. ავიღოთ უმნიშვნელოვანესი კულტურები, მაგალითად, მარცვლეული, ტექნიკური კულტურები — მათი ხელმძღვანელობა ერთ ხელში კი არ იყო თავმოყრილი, არამედ აგრეთვე დაქსაქსული იყო მრავალ სამმართველოში.

სამინისტროების გაერთიანებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურის შეცვლის შესახებ მიღებული დადგენილებით ეს ორგანიზაციული ნაკლოვანებანი აღმოფხვრილია. აშკარაა, სათანადო ცვლილებანი და გაუმჯობესება უნდა მოხდეს რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების სოფლის მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურაშიც, ხოლო ამავე დროს ისინი განმტკიცებულ უნდა იქნან, რასაც სერიოზულად უნდა შეუწყონ ხელი პარტიის საოლქო კომიტეტებმა.

უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების კიდევ ერთი ნაკლი. ესაა რაღაც გულგრილი დამოკიდებულება ყოველივე ახლისადმი. მაგალითად, კარგი, ახლად გამოყვანილი თესლი ხშირად ძალიან ნელა ინერგება წარმოებაში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. თესლის ჯიშების გამოცდისა და მათი გამრავლების სისტემა ისეთია, რომ რომელიმე ახალი ჯიში მასობრივად რომ გავრცელდეს, სულ ცოტა 8-10 წელი გამოცდაში უნდა გაატაროს.

ჩვენ საკმაოდ დიდი მოწინავე გამოცდილება შევიძინეთ სხვადასხვა კულტურების აგროტექნიკაში, კოლმეურნეობათა შრომის ორგანიზაციაში, მეცხოველეობაში, მექანიზაციაში. ნაცვლად იმისა, რომ ყოველივე ეს სწრაფად ავითვისოთ და გავავრცელოთ, უფრო ფართო მასშტაბით გამოვიყენოთ, ყოველივე ამას ხშირად ვაჭიანურებთ, დაუსრულებლივ ვმსჯელობთ, რაღაც გაუბედაობას, სკეპტიციზმს ვიჩენთ.

ეს შეზღუდულობა და გაუბედაობა არა მარტო ცენტრალურ აპარატშია, არამედ ადგილებზეც, სამეცნიერო და საცდელ დაწესებულებებში. ადამიანები ათეულ წლობით მუშაობენ საცდელ სადგურებში, კარგ შედეგებს აღწევენ, ხოლო ამავე დროს ყოველივე ეს მნიშვნელოვანწილად მხოლოდ მოცემული საცდელი სადგურის ფარგლებში რჩება და ფართოდ არ ვრცელდება ახლომახლო რაიონებსა და კოლმეურნეობებში, რის შედეგადაც მრავალი ძვირფასი გამოცდილება გამოუყენებელი რჩება. მოწინავე გამოცდილების გავრცელება კი სოფლის მეურნეობის აღმავლობის უდიდეს წყაროს წარმოადგენს. მაშასადამე, საჭიროა ბოლო მოეღოს ამ ნაკლს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ორგანოების მხრივ ხელმძღვანელობაში.

შემდეგ, სერიოზულ ნაკლს, რომელიც შეეხება როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ისე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობასაც—წარმოადგენს დაგვიანება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მომზადებაში.

სოფლის მეურნეობა ისეთი საქმეა, რომ თუ მომზადება ხელიდან გაუშვი, მოსავალსაც დაჰკარგავ. სწორად რომ ვთქვათ, მოსავალი ერთი წლით ადრე მზადდება: თუ ანეული და მზრალი არ მოხანი, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსავლის ნაწილს დაჰკარგავ, თუ ზამთარში სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ტრაქტორები არ შეაკეთე, მაშასადამე, თესვასა და მოსავლის აღებას ჩაშლი, მაშასადამე, მოსავლის ნაწილსაც დაჰკარგავ; თუ ზაფხულში საკვები არ მოამზადე ზამთარში პირუტყვის სულადობას დაჰკარგავ.

ამხანაგებო! მე მეტად მარტივ ჭეშმარიტებებს ვამბობ, ამავე დროს კი, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ დაგვიანებით ჩვენ ძალიან, ძალიან ბევრს ვკარგავთ: მომზადებას დააგვიანებენ, შემდეგ კი იწყება ფაციფუცი, ყოველგვარი ნაჩქარევი ღონისძიებანი, რწმუნებულთა —ზოგჯერ საქმეს ნაკლებად გაცნობილ ადამიანთა გზავნა. სოფლის მეურნეობაში დროულ ხელმძღვანელობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად, ვიდრე მეურნეობის რომელიმე სხვა დარგში.

შემდეგი საერთო ნაკლია სოფლის მეურნეობაში ყველაფრის გაზომვა საშუალო მონაცემებით, ნაცვლად იმისა, რომ რაიონში დიფერენცირებულად მივუდგეთ ცალკეულ კოლმეურნეობებს, ხოლო ოლქებში ცალკეულ რაიონებს. შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს—ჩვენს პრაქტიკაში ეს ნაკლი რომ არ გვქონებოდა, გაცილებით ნაკლები გვეყოლებოდა ყოველგვარი ჩამორჩენილი რაიონები, მტს-ები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, იმიტომ რომ დიფერენცირებული მიდგომა და სათანადო ორგანიზაციული მუშაობა თავიდან აგვაცილებდა ასეთ ჩამორჩენას. აღარ განვავითარებ ამ დებულებას, მე მგონია, რომ იგი საკმაოდ ნათელია პრაქტიკოსი ხელმძღვანელებისათვის.

მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და ჩვენი გეგმების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი პირობა არის ის, რაზედაც არაერთხელ უთქვამს ამხანაგ სტალინს, რომ გეგმების შედგენისას და მთელ ჩვენს მუშაობაში გეზი უნდა ავიღოთ არა საშუალოებზე, არამედ მოწინავეებზე. ამას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, იმიტომ რომ, მაგალითად, აიღეთ რაიონის, ოლქის სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკა. ჩვენი გეგმები სოფლის მეურნეობაში ისე სდგება, რომ იქ გათვალისწინებულია საშუალო მოსავლიანობა რაიონებისათვის, ოლქისათვის, მეცხოველეობის საშუალო მაჩვენებლები, ტრაქტორის საშუალო გამომუშავება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ზოგიერთმა რაიონმა, კოლმეურნეობამ და მტს-მა უკვე დიდი ხანია გადააბიჯეს ამ საშუალო დავალებებს. მაშასადამე, ჩვენი გეგმები ასეთ შემთხვევაში მათ უკან ეწევიან და არა წინ.

აქედან ცხადია რომ უნდა ვგეგმავდეთ არა საშუალო მაჩვენებლების მიხედვით, არამედ უნდა ვახდენდეთ გეგმების დიფერენცირებას ცალკე მოწინავეთათვის, საშუალოთათვის, ჩამორჩენილთათვის, ამასთან წინ ვეწეოდეთ მათ მოწინავეთა დონემდე.

საჭიროა გადაჭრით მოვუღოთ ბოლო ისეთ ნაკლს, როგორიცაა კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ორგანიზატორული მუშაობის შეცვლა ადმინისტრირებით, რაზედაც უკვე საკმაოდ ნათლად იყო ნათქვამი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილებაში კოლმეურნეობათა შესახებ. ნაცვლად იმისა, რომ არსებითად გაერკვნენ საქმის ვითარებაში და გამოასწორონ აღმოჩენილი ნაკლოვანებანი, ხშირად საქმე იმით განისაზღვრება, რომ კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიკურად სცვლიან ადამიანებს, ცოტა ხნით შეივლიან ხოლმე ანდა სხვადასხვაგვარ რწმუნებულებს გაგზავნიან ყოველგვარ დავალებებსა და გრაფიკებს აძლევენ, ამასთან ყოველივე ეს განმტკიცებული როდია ორგანიზაციული მუშაობით.

რით შეიძლება გავამართლოთ, მაგალითად, ხელმძღვანელობის ისეთი პრაქტიკა, როგორიცაა კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა და მტს-ების დირექტორთა მასობრივი შეცვლა? მაგალითად, კოსტრომის ოლქში 1946 წელს შესცვალეს 1.304 კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანუ მთელი შემადგენლობის ნახევარი; კუიბიშევის ოლქში 1945 წელს შესცვალეს 540 კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პენზის ოლქში მტს-ის 115 დირექტორიდან შესცვალეს 64.

უნდა შევიგნოთ, რომ ადმინისტრირებისა და კოლმეურნეობებსა და მტს-ებში ადამიანთა ხშირი შეცვლის პრაქტიკა ნაცვლად იმისა, რომ დახმარება გავუწიოთ მათ ყოველდღიურ ორგანიზაციულ მუშაობაში, ხელმძღვანელობის სისუსტის გამოხატულებაა და არა ძლიერებისა, და ხელმძღვანელობის ასეთ მანკიერ პრაქტიკას ბოლო უნდა მოეღოს.

და, ბოლოს, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების კიდევ ერთი პირობის შესახებ. ამხანაგ სტალინს არაერთხელ უთქვამს: რომ უხელმძღვანელო — უნდა განჭვრიტო, —და გავუფრთხილდებივართ, რომ მუშაობის პრაქტიკიდან განვდევნა ისეთი სერიოზული ნაკლი, როგორიცაა თვითდინება, როცა ადამიანები დინებას მიჰყვებიან და არ იციან, სად გაირიყებიან.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ეს ნაკლი ჩვენს მუშაობაში აღმოფხვრილია? არა, ამის თქმა არ შეიძლება. განა მუშაობაში თვითდინების არსებობის მკაფიო მაგალითი არ არის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების აღმოჩენილი დარღვევანი? განა შეიძლებოდა განმეორებულიყო კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავება, მუშაობაში თვითდინება რომ არ ყოფილიყო?

განა თვითდინების არსებობას არ ადასტურებენ ცალკეული რაიონების, კოლმეურნეობების, მტს-ების მიერ მუშაობის და გეგმების შესრულების ჩაშლის მრავალრიცხოვანი ფაქტები, როცა ჩვენი ორგანიზაციები უეცრად აღმოჩნდებიან ასეთი ჩაშლის წინაშე, ხოლო მუშაობაში თვითდინება რომ არ ყოფილიყო, ეს მნიშვნელოვანწილად გამორიცხული იქნებოდა.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა რომ გავაუმჯობესოთ, ამისათვის გადაჭრით უნდა მოვუღოთ ბოლო ამ ნაკლს ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში.

პროექტი ითვალისწინებს სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების ღონისძიებებს. ომის პერიოდში და ომისშემდგომი წლების მანძილზე ერთნახევარჯერ და უფრო მეტად იმატა კომუნისტების რაოდენობამ სოფლად, ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციათა რაოდენობა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ორგანიზაციული ხელმძღვანელობისა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე სოფლად მნიშვნელოვნად ჩამორჩება სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს. სწორედ ამიტომ პროექტით დასახულია პარტიის სასოფლო რაიკომების განმტკიცების, სოფლად პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების, მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ამხანაგებო! დადგენილების პროექტით დასახულია სოფლის მეურნეობის არა ერთი წლის, არამედ მთელი რიგი წლების აღმავლობის ღონისძიებანი. ჩვენი უახლოესი ამოცანაა წლევანდელი საგაზაფხულო თესვის წარმატებით მომზადება და ჩატარება, რაც სოფლის მეურნეობის აღმავლობის დასახულ პროგრამაში შეტანილი კარგი წვლილი იქნება.

ცხადია, რომ ამოცანები, რომლებიც დასახულია სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, მთელი პარტიისა და საბჭოთა ორგანიზაციების დიდ და დაძაბულ მუშაობას მოითხოვენ, მაგრამ ჩვენ ყველა პირობა მოგვეპოვება ამ ამოცანების უმოკლეს ვადაში გადაწყვეტისათვის.

სოფლის მეურნეობა ჩვენს ქვეყანაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ძირითადად ომამდელ დონემდე აღდგენილ იქნა მხოლოდ 10 წლის შემდეგ. ახლა ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს აღვადგინოთ ჩვენი სოფლის მეურნეობა 1940 წლის უფრო მაღალ დონემდე მნიშვნელოვნად მოკლე ვადებში იმის გამო, რომ საამისოდ უდიდესი შესაძლებლობანი მოგვეპოვება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, მექანიზაციის ბაზის, კადრების არსებობის, საკოლმეურნეო მშენებლობის პერიოდში შეძენილი უდიდესი გამოცდილების სახით, განვითარებული მრეწველობის სახით, რათა სოფლის მეურნეობა მოვამარაგოთ ყოველივე იმით, რაც მისთვის საჭიროა. სავსებით უეჭველია, რომ ჩვენი პარტია, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, შეასრულებს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის დასახულ ამოცანებს.

ატომური იარაღის აკრძალვა გაერთიანებული ერების გადაუდებელი ამოცანაა

ა. ა. გრომიკოს სიტყვა უშიშროების საბჭოს სხდომაზე 1947 წლის 5 მარტს

1. ატომური იარაღის აკრძალვის კონვენციის შესახებ

უშიშროების საბჭოში ატომის კომისიის მოხსენების განხილვამ ერთგვარი სარგებლობა მოიტანა იმ მხრივ, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს პოზიცია როგორც იმ საკითხებში, რომლებშიც წინააღმდეგობა არ არის, ისე იმ საკითხებში, რომლებშიც შეთანხმება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, უფრო ნათელი გახდა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ შესამჩნევი პროგრესი ატომური ენერგიისადმი კონტროლის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში შეთანხმების მიღწევის მიმართულებით ჯერ კიდევ არ მომხდარა. ამ საკითხებზე საბჭოთა დელეგაციის მიერ შემოტანილი წინადადებანი ჯერ კიდევ სათანადოდ განხილული არ ყოფილა. როდესაც ამ გარემოებას აღვნიშნავ, სრულიადაც არა მაქვს მხედველობაში, რომ ამ მნიშვნელოვან საკითხებისა და წინადადებებისადმი თავისი დამოკიდებულების გამორკვევა აუცილებელია იმათთვისაც კი, რომლებსაც არსებითად სათქმელი არაფერი აქვთ ამ საკითხებსა და წინადადებებზე.

როდესაც მნიშვნელოვან საკითხებსა და წინადადებებზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, საკითხი ატომისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახის იარაღის აკრძალვათა კონვენციის შესახებ და ამ საკითხზე საბჭოთა წინადადება. გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ თავისი 1946 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს წინაშე სერიოზული ამოცანები დასვა ატომის ენერგიისადმი კონტროლისა და სამხედრო მიზნებით მისი გამოყენების შეუწყნარებლობის შესახებ. ამ გადაწყვეტილებით უშიშროების საბჭოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დაეკისრა, ვინაიდან გაერთიანებული ერების სწორედ ამ ორგანოს ფარგლებში უნდა შეიქმნას ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის სისტემა, ვინაიდან სწორედ ამ ორგანომ უნდა შეიმუშაოს და უზრუნველჰყოს იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც გამორიცხავენ სამხედრო მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობას.

იმ შესწორებათა და დამატებათა შორის, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ შემოიტანა უშიშროების საბჭოს ამა წლის 18 თებერვლის სხდომაზე, არის ატომის კომისიის რეკომენდაციისადმი დამატება, რომელშიც ნათქვამია:

„ზემოთაღნიშნული დასკვნებისა და რეკომენდაციების, აგრეთვე „შეიარაღების საყოველთაო რეგულირებისა და შემცირების პრინციპების შესახებ" გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებათა უსწრაფესად განხორციელების მიზნით, უშიშროების საბჭო გადაუდებლად აღიარებს ატომის იარაღისა და მასობრივი მოსპობისათვის გამოსადეგი სხვა ძირითადი სახის შეიარაღების აკრძალვის შესახებ კონვენციის პროექტების განხილვას".

თითქოს საკითხმა ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და სათანადო წინადადებებმა ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიიპყრონ, ვინაიდან ატომური იარაღის აკრძალვა პირველი რიგისა და გადაუდებელი ამოცანა გახდა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე დგას. საბჭოთა დელეგაცია ატომის კომისიაში ყურადღებას აქცევდა ამ ამოცანების გადაჭრის საჭიროებას ჯერ კიდევ 1946 წლის ივნისში, როდესაც კომისია ის-ის იყო შეუდგა თავის მუშაობას. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ამოცანის გადაჭრა ჯერ კიდევ ფერხდება სხვადასხვაგვარი საბაბით, რომელთაც საერთო არაფერი არა აქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნამდვილ ინტერესებსა და ამოცანებთან.

ჩვენ კვლავ გვეუბნებიან, რომ ატომური იარაღი არ შეიძლება აკრძალული იქნას მანამდე, სანამ საბჭოთა კავშირი არ მიიღებს ამერიკის წინადადებებს ატომის ენერგიისადმი კონტროლის საკითხზე. საკითხის ასეთი დაყენება, რომელსაც საფუძვლად უდევს სურვილი უკარნახონ სხვა ქვეყნებს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს პირობები, რომლების თავზე მოხვევასაც ცდილობს ერთი ქვეყანა ატომის ენერგიის დარგში თავისი მონოპოლიური მდგომარეობის განსამტკიცებლად, არ შეიძლება შესაბამებოდეს ატომის ენერგიისადმი კონტროლის დაწესების დარგში ამოცანების მალე და წარმატებით გადაჭრას. სათანადოდ უნდა დაფასდეს ასეთი გეგმის ავტორებისა და დამცველების გულახდილობა, რომლებიც არ მალავენ, რომ ისინი გაერთიანებული ერების ინტერესებს ამ დარგში აიგივებენ ერთი ქვეყნის ინტერესებთან ამ ერთი ქვეყნის ვიწროდგაგებული ეროვნული ინტერესებისადმი სხვა ქვეყნების ინტერესთა დაქვემდებარების გზით.

ამერიკის წარმომადგენელთა განცხადება ატომის კომისიაში, ხოლო შემდეგ უშიშროების საბჭოშიც და, კერძოდ, განცხადება სენატორ ოსტინისა, რომელსაც მე დიდ პატივს ვცემ, იმის შესახებ, რომ ისინი მზად არიან და სურთ საერთაშორისო კონტროლი დააწესონ ატომის ენერგიისადმი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი გამოყენება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით, და თვით ამერიკის წინადადებანი გვამორწმუნებს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და სასწრაფო ამოცანების გადაჭრას კონტროლის საკითხების შემუშავებასთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები გადაჭრით გამოსთქვამენ აზრს ატომური იარაღის აკრძალვის კონვენციის დადების წინააღმდეგ, თუმცა ძნელი არ არის იმის გაგება, რომ სწორედ ასეთი კონვენციის დაუყოვნებლივ დადებას აუცილებლად გვიკარნახებს მთელი ვითარება. ამას გვიკარნახებს თვით ატომური იარაღი, როგორც თავდასხმის იარაღის ბუნება. ამას გვიკარნახებს ის გარემოება, რომ ამჟამად ატომის ენერგიას ჯერ კიდევ მხოლოდ სამხედრო მიზნებით იყენებენ. ამას გვიკარნახებს ის გარემოება, რომ ასეთი კონვენციის დასადებად არ არსებობს არავითარი ობიექტური დაბრკოლებანი, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს მომწამვლელი და მახრჩობელა გაზების აკრძალვის ისტორიული მაგალითები. ერთადერთ დაბრკოლებას ასეთი კონვენციის დასადებად წარმოადგენს ერთი ქვეყნის სურვილი ატომის ენერგიის საკითხებში თავს მოახვიოს თავისი ნება სხვა ქვეყნებს და ანგარიში არ გაუწიოს მათ კანონიერ ინტერესებს.

შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, რომ ამერიკის წინადადებათა მიერ დასახული გზა მიგვიყვანს ატომის ენერგიისადმი კონტროლის ამოცანის წარმატებით გადაჭრამდე, რათა იგი გამოყენებულ იქნას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით? არა, ამისი თქმა არ შეიძლება. ატომური იარაღის აკრძალვის კონვენციის დაუდებლად არ შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ მკაცრ საერთაშორისო კონტროლზე, რომლის დაწესების მომხრე იყო და არის საბჭოთა კავშირი. ასეთი კონვენციის დაუდებლად ძნელი, ხოლო იქნებ შეუძლებელიც გახდეს ასეთი მკაცრი კონტროლის დაწესების ამოცანის გადაჭრა. ატომური იარაღის, ისე როგორც მასობრივი მოსპობის ყველა სხვა სახის იარაღის აკრძალვა უნდა იქნეს პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი გენერალური ასამბლეის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაში. ეს გადაწყვეტილება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ძირითად ინტერესთა შესაბამისი იქნებოდა.

ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის გადაუდებელი გადაჭრის საჭიროებას, ატომური იარაღისა, რომელიც წარმოადგენს აგრესიის იარაღს და საფრთხეს უწინარეს ყოვლისა სამოქალაქო მოსახლეობისათვის, გვიკარნახებენ აგრეთვე კაცობრიობის უძველესი ტრადიციები; ეს ტრადიციები მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ ცივილიზაციის განვითარების ადრინდელ საფეხურებზე უკვე ყალიბდებოდა გარკვეული მორალური ნორმები, რომელთა მიხედვითაც დანაშაულებად ითვლებოდა ომში მშვიდობიანი მოსახლეობის მოსპობა. საუკუნეთა განმავლობაში თქმულება: „ქალთა, ბავშვთა და მოხუცთა სისხლმა არ შებღალოს თქვენი გამარჯვებაო" პოპულარული იყო ბევრ ხალხთა შორის. ბევრი საგულისხმო მაგალითის მოძებნა შეიძლება საშუალო საუკუნეთა ისტორიაში. იმედი ვიქონიოთ, რომ მეოცე საუკუნეში შექმნილი გაერთიანებული ერების ჩვენი ორგანიზაცია წარმატებით შეეჯიბრება ამ მხრივ ძველი და საშუალო საუკუნეების მორალს. საჭიროდ მიმაჩნია ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო ატომისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეთა იარაღის აკრძალვის და ამ საკითხზე შემოტანილ წინადადებათა მნიშვნელობა იმ იმედით, რომ ყველა ჩვენ ბოლოსდაბოლოს შევძლებთ შევთანხმდეთ ამ საკითხზე და დაუყოვნებლივ განვიხილოთ სათანადო კონვენციის პროექტები.

ჩემს განცხადებაში ამა წლის 14 თებერვალს მე უკვე მივაქციე უშიშროების საბჭოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ კონვენციის დადება ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ სხვა საკითხები, მათ შორის ინსპექციის საკითხი შემუშავება არ უნდა გაგრძელდეს. მაგრამ ყველა იმ საკითხის განხილვა, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ ატომის ენერგიისადმი კონტროლის დაწესებასთან, აუცილებლად მოითხოვს დროს, რის გამოც ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციის დადების გადადებას არავითარი გამართლება არა აქვს.

ასეთი კონვენციის დადება, გარდა იმისა, რომ მოამზადებდა ქმედით კონკრეტულ პრაქტიკულ ნაბიჯს, გადადგმულს გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების განხორციელების საქმეში, იგი აგრეთვე შექმნიდა ხელსაყრელ პირობებს იმ სხვა საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც გენერალური ასამბლეის რეზოლუციიდან გამომდინარეობენ, თუ აღარ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ ასეთი კონვენციის დადება ხელს შეუწყობდა გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობისა და ჩვენი ორგანიზაციის ავტორიტეტის განმტკიცებას.

2. კონტროლისა და ინსპექციის შესახებ

საბჭოთა წარმომადგენელი ატომის კომისიასა და უშიშროების საბჭოში არაერთგზის აღნიშნავდა, რომ ატომის ენერგიისადმი კონტროლის საკითხთა განხილვისას საჭიროა მთელი ყურადღება, უწინარეს ყოვლისა, მიექცეს ძირითად პრობლემებს. ძირითად საკითხებზე შეთანხმებისას ატომის კომისია და უშიშროების საბჭო ალბათ დიდ სიძნელეებს არ შეხვდებოდნენ ნაკლებ მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი საკითხების გადაჭრის დროს. საჭიროდ მიმაჩნია ერთხელ კიდევ მივაპყრო უშიშროების საბჭოს ყურადღება იმას, რომ უნდა მივაღწიოთ შეთანხმებას, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ძირითად პრობლემებზე, რითაც გზა გაიკაფებოდა დანარჩენ საკითხებზე შეთანხმების მისაღწევად. მე უკვე აღვნიშნე ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ამოცანა — ატომური იარაღის აკრძალვის კონვენციის დაუყოვნებლივ დადების საჭიროება. არის სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, რომლებზეც საჭიროა შეთანხმება ატომის ენერგიისადმი კონტროლის დაწესების მთელი პრობლემის განხილვასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ საჭიროა გარკვეული და ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ როგორ უნდა გავიგოთ თვით კონტროლი და მისი ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ ამ საკითხზე, იმიტომ რომ საერთაშორისო კონტროლი ზოგიერთი წინადადების ავტორებს დღემდე სხვადასხვაგვარად ესმით.

საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია მოგაგონოთ, რომ საბჭოთა მთავრობის პოზიცია ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის საკითხში ნათლად იყო ჩამოყალიბებული სსრ კავშირის მთავრობის მეთაურის გენერალისიმუს სტალინის მიერ. გენერალისიმუსმა სტალინმა უპასუხა ამერიკის იუნაიტედ პრესის სააგენტოს პრეზიდენტ ჰიუ ბეილის კითხვაზე და 1946 წლის 23 ოქტომბერს განაცხადა, რომ „საჭიროა მკაცრი საერთაშორისო კონტროლი". ამრიგად, საბჭოთა კავშირის პოზიცია და უშიშროების საბჭოსა და ატომის კომისიაში საბჭოთა წარმომადგენლების პოზიცია ამ საკითხში უაღრესად ნათელია. საბჭოთა კავშირი მომხრე იყო და არის ატომის ენერგიისადმი მკაცრი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლისა.

გენერალური ასამბლეის უკანასკნელ სესიაზე საბჭოთა დელეგაცია თავისი მეთაურის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვის სახით, ხოლო შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელი ატომის კომისიასა და უშიშროების საბჭოში აგრეთვე განმარტავდნენ სსრ კავშირის პოზიციას ინსპექციის საკითხებშიც, ურომლისოდაც, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია მკაცრი და ეფექტიანი რეალური საერთაშორისო კონტროლი. ეფექტიანი ინსპექტირება წარმოადგენს საერთაშორისო კონტროლის სისტემის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს. მე საჭიროდ მივიჩნიე ამ დამატებითი განმარტების გაკეთება იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის პოზიციას ამ საკითხში ხშირად არასწორად ამუქებენ, ხოლო ზოგჯერ კიდევაც ამახინჯებენ. ზოგჯერ შეიძლება გავიგონოთ ისეთი განცხადება, თითქოს საბჭოთა კავშირი ძლიერი საერთაშორისო კონტროლისა და ეფექტიანი ინსპექტირების წინააღმდეგია. ამგვარ განცხადებებს არავითარი საფუძველი არ გააჩნიათ და ნავარაუდევია, როგორც სჩანს, იმისათვის, რომ შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრივი აზრი ამ მნიშვნელოვან საკითხში საბჭოთა კავშირის ნამდვილი პოზიციის შესახებ.

შეიძლება ვიკითხოთ, მაშ რაშილა მდგომარეობს განსხვავება საბჭოთა კავშირის პოზიციასა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მიერ ატომის კომისიაში თავისდროზე შეტანილ წინადადებას შორის, რომელიც საფუძვლად დაედო ატომის კომისიის ჩვენ მიერ განსახილველ მოხსენებას. ზემოთ უკვე აღვნიშნე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განსხვავება, როდესაც ვლაპარაკობდი ატომური შეიარაღების შესახებ კონვენციის დაუყოვნებლივ დადების საჭიროებაზე, რასაც ამერიკის წინადადებანი არ ითვალისწინებენ. მაგრამ განსხვავება, და არსებითი განსხვავება არის სხვა მხრივაც.

საბჭოთა კავშირის პოზიცია ატომის ენერგიისადმი კონტროლისა და ინსპექტირების საკითხებში ნათელია. ატომის ენერგიისადმი უნდა დაწესდეს მკაცრი საერთაშორისო კონტროლი და მკაცრი ინსპექტირება. ამავე დროს ეს მკაცრი საერთაშორისო კონტროლი და მკაცრი ინსპექტირება არ უნდა გადაიქცეს ჩარევად მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ატომის ენერგიის წარმოებასთან. ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლი არ უნდა ეხებოდეს იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ატომის ენერგიასთან.

ლოგიკა გვეუბნება, რომ ყოველი აზრი შეიძლება აბსურდამდე მივიყვანოთ. ეს კარგ აზრებსა და იდეებსაც კი ეხება. ატომის ენერგიისადმი კონტროლის შეუზღუდველ კონტროლად გადაქცევა მოასწავებდა ატომის ენერგიისადმი კონტროლის იდეის აბსურდამდე მიყვანას, რათა არ დაგვეშვა სამხედრო მიზნებით მისი გამოყენება. კონტროლის შეუზღუდველობა მოასწავებდა კონტროლისა და საკონტროლო ორგანოს (ან ორგანოების) უსაზღვრო ჩარევას იმ ქვეყნების ეკონომიურ ცხოვრებაში, რომელთა ტერიტორიაზეც ეს კონტროლი განხორციელდება, და ჩარევას მის შინაურ საქმეებში. ამას როდი მოითხოვს ჩვენგან ატომის ენერგიისადმი კონტროლისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ გაერთიანებული ერების მიერ დასმული ამოცანების შესრულება. ამაში როდი მდგომარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანა ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესებასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო კონტროლის ასეთ გაგებას, რასაც ჩვენ გვთავაზობენ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებანი, რომლებიც საფუძვლად უდევს ატომის კომისიის მოხსენების სათანადო განყოფილებებს, შეუძლია მხოლოდ გაამძაფროს კონტროლისა და ინსპექციის მოწყობის მთელი საქმე, ვინაიდან იგი, როგორც უკვე აღვნიშნე, მოასწავებდა საკონტროლო ორგანოს უხეშ ჩარევას სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში, მათს ეკონომიურ ცხოვრებაში, რაც არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს. სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ასეთი ჩარევას არ მოითხოვენ ეფექტიანი კონტროლის ინტერესები და იგი არ გამომდინარეობს იმ მოთხოვნებიდან, რომლებსაც საკონტროლო ორგანო აყენებს ამოცანების ამ დარგში მის წინაშე მდგომი საკითხების გადასაჭრელად. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმ გარემოებას, რომ საკონტროლო ორგანოებისათვის სახელმწიფოთა შინაურ ცხოვრებასა და შინაურ საქმეებში ჩარევის უფლების მინიჭების შესახებ წინადადების უსაფუძვლობა სავსებით აქვს წარმოდგენილი ატომის ენერგიის გამომკვლევ ზოგ მეცნიერს. ამასთან დაკავშირებით სერიოზული ყურადღების ღირსია ატომის ენერგიის გამომკვლევ ინგლისელ მეცნიერთა ასოციაციის საბჭოს მემორანდუმი, რომელიც ამა წლის 20 იანვარს გამოქვეყნდა. ამ მემორანდუმში გაკრიტიკებულია ეგრეთწოდებული ბარუხის გეგმის მთელი რიგი დებულებანი. კერძოდ, ინგლისელმა მეცნიერებმა გამოააშკარავეს ინსპექციის საკითხის შესახებ წინადადების უსაფუძვლობა. მეცნიერები სავსებით სწორად ხედავენ ინსპექციის შესახებ ამერიკის წინადადების სერიოზულ ნაკლს იმაში, რომ იგი ითვალისწინებს საკონტროლო ორგანოს ინსპექტორების შეუზღუდველ უფლებებს. ისინი გამოსთქვამენ სურვილს, „რომ ინსპექციის უფლება, რამდენადაც კი შესაძლებელია, შეიზღუდოს, და არ იყოს მეტისმეტი ცნობისმოყვარეობის გამჩენის საშუალება კანონიერი მრეწველობისა და მოღვაწეობის სხვა სახეთა მიმართ. ეს საკითხი შეიძლება გადაჭრილ იქნას მხოლოდ ფართო განხილვის გზით. შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი პროცედურა, რომელსაც ითვალისწინებს „ჩხრეკისათვის გაცემული ორდერი", რომელიც ტერიტორიაზე შესვლის უფლებას იძლევა მას შემდეგ, რაც ატომის ენერგიისადმი კონტროლის ორგანო დაადასტურებს, რომ არსებობს საკმაო საფუძვლები ეჭვისათვის".

როგორც ხედავთ, ატომის ენერგიის გამომკვლევი მეცნიერები ამერიკის გეგმის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად სთვლიან მასში არსებულ წინადადებას ინსპექციის შესახებ, რომელიც ინსპექტორების დარგში საკონტროლო ორგანოების მეტისმეტად ფართო უფლებებს ითვალისწინებს.

ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება კონტროლის შესახებ გამომდინარეობს იმ მცდარი წანამძღვრებიდან, რომ სხვა სახელმწიფოთა ინტერესები უკანა პლანზე უნდა დაიდგას საკონტროლო ორგანოს მიერ საკონტროლო და საინსპექციო ფუნქციების განხორციელების დროს. სწორედ ასეთ ძირითად მანკიერ წანამძღვრებზე დაყრდნობით შეიძლებოდა მხოლოდ იმ დასკვნამდე მისვლა, რასაც შეიცავს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მიერ ატომის კომისიაში შეტანილი წინადადებანი—რომ საჭიროა ატომის საწარმოები საკუთრებად გადაეცეს საერთაშორისო ორგანოს, რომელსაც უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა კონტროლის განხორციელებისათვის. ამგვარი წინადადება ცხადჰყოფს, რომ ეგრეთწოდებული ბარუხის გეგმის ავტორები სავსებით უგულებელჰყოფენ სხვა ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს და ემყარებიან ამ ქვეყნების ინტერესების ფაქტიურად ერთი ქვეყნის—ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებისადმი დაქვემდებარების საჭიროებას.

ადვილი გასაგებია, რომ საკონტროლო ორგანოებისათვის ასეთ უფლებათა მინიჭება მოასწავებელი იქნებოდა ამ ორგანოების სრული თვითნებობისა და, უწინარეს ყოვლისა, იმათი, თვითნებობისა, ვინც შესძლებს უმრავლესობა მიიზიდოს ამ ორგანოებში. საკონტროლო ორგანოებისათვის ასეთ უფლებათა მინიჭება შექმნიდა ადვილ შესაძლებლობას ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე საწარმოთა მოქმედებაში ჩასარევად, რასაც არავითარი საფუძველი არ ექნებოდა. აი როგორ აყენებდა საკითხს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი საკონტროლო ორგანოს მოვალეობის შესახებ ატომის კომისიაში 1946 წლის 14 ივნისის სხდომაზე გამოსვლის დროს.

„საერთაშორისო საკონტროლო ორგანომ უნდა შეიმუშაოს კონტროლის გულდასმითი გეგმა ატომის ენერგიის გამოყენების დარგისათვის საკუთრების მფლობელობის, ნებართვათა, ექსპლოატაციის, მეთვალყურეობის, კვლევისა და მმართველობის სხვადასხვა ფორმების დაწესების გზით კომპეტენტური პერსონალის მეშვეობით". (I მუხლი. ზოგადი დებულებანი).

ამ წინადადებათა ავტორები არც კი აპირებენ იმის უარყოფას, რომ მათი გეგმა ითვალისწინებს საკონტროლო ორგანოების ჩარევას სახელმწიფოს ცხოვრების უაღრესად სხვადასხვა დარგში. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის იმავე განცხადებაში მხოლოდ შესარბილებლად არის აღნიშნული, რომ მის შემდეგ, რაც კონტროლის საერთაშორისო ორგანო გადასწყვეტს ზემოჩამოთვლილ ამოცანებს საკუთრების, მფლობელობის, ნებართვათა (ლიცენზიების) და სხვა „...დაშვებულ უნდა იქნას, რაც შეიძლება ნაკლები ჩარევა ეკონომიურ გეგმებში, კერძო, კოოპერაციულ და მთავრობის ურთიერთობაში, რომლებიც სხვადასხვა დაინტერესებულ ქვეყნებში არსებობენ". (იგივე I მუხლი. ზოგადი დებულებანი). ამრიგად, გათვალისწინებულია საკონტროლო ორგანოს ჩარევა ქვეყნის მთელ შინაურ ცხოვრებაში. შენიშვნა იმის შესახებ, რომ მომავალში უნდა მოხდეს ამ ჩარევის რაღაც შეზღუდვა, მდგომარეობას არა სცვლის, ვინაიდან ეს მთავარი როდია.

იმ საკონტროლო ორგანოს ამოცანები, რომელსაც ეძლევა მფლობელობა, ნებართვათა გაცემა და მთელი რიგი სხვა ფუნქციები, თითქოს ეთანაბრება ტრესტებისა და სინდიკატების ამოცანებს, რომელთა როლი და გავლენა ცალკეული ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობასა და ეკონომიკაზე კარგად ცნობილია.

ატომის კომისია შექმნილი როდი იყო საერთაშორისო ტრესტებისა და სინდიკატების დასაარსებლად, რომლებიც უნდა ჰფლობდნენ ცალკეული ქვეყნების ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებს. ამისთვის როდი ყოფილა გენერალური ასამბლეის მიერ 1946 წლის 14 დეკემბერს გამოტანილი გადაწყვეტილება ატომის ენერგიისადმი კონტროლის დაწესებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საჭიროების შესახებ. დროა შევიგნოთ, რომ ასეთი საკითხების გადაჭრას არ შეიძლება მივუდგეთ ისე, რომ ვიხელმძღვანელოთ მარტო ერთი ქვეყნის ინტერესებით, არამედ საჭიროა მხედველობაში მივიღოთ სხვა ქვეყნების კანონიერი ინტერესებიც. არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც საკონტროლო ორგანო ჰფლობდეს საწარმოებს სხვადასხვა ქვეყანაში, სწყვეტდეს საკითხს — ნებადართულ იქნას, თუ არა ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე ასეთი საწარმოს შექმნა, და ჰქონდეს ატომის ენერგიის წარმოებისა და გამოყენების დარგში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ჩატარების განსაკუთრებული უფლება. შეუძლებელია ასეთი მდგომარეობის წარმოდგენა. მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც რეალობის გრძნობა დაჰკარგვიათ, შეუძლიათ სერიოზულად სჯეროდეთ ასეთი წესრიგის შექმნის შესაძლებლობა.

ზემოთმოყვანილი დებულება, რასაც შეერთებული შტატების წინადადებანი შეიცავენ, რამდენჯერმე მეორდება შეცვლილი ფორმით. შეერთებული შტატების წარმომადგენლის იმავე განცხადებაში აღნიშნულია, რომ საკონტროლო ორგანო „კონტროლს უნდა უწევდეს და ეწეოდეს ყველა იმ ქარხნის ექსპლოატაციას, რომლებიც ამუშავებენ დასაშლელ მასალას საშიში რაოდენობით და რომ მას უნდა ეკუთვნოდეს ამ ქარხნების საკუთრება და კონტროლი მათი ფუნქციებისადმი". (3 მუხლი. ძირითადი საწარმოო დებულებანი).

ამ დებულებაში აზრი საკონტროლო ორგანოს თავისებურ საერთაშორისო ტრესტად გადაქცევის საჭიროების შესახებ მიყვანილია თითქმის მის ლოგიკურ ბოლომდე. თურმე საკონტროლო ორგანომ კონტროლი და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს აგრეთვე ყველა ქარხნის მუშაობას და დაეუფლოს ამ ქარხნების პროდუქციას. ისღა დაგვრჩენია ასეთ წინადადებას დავუმატოთ იმის აღნიშვნაც, რომ საერთაშორისო საკონტროლო ორგანომ მის მმართველობაში მყოფ საწარმოთა მოგება გაანაწილოს იმ აქციების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის ხელშია, მაშინ სურათი სრული იქნება.

ინგლისელ მეცნიერთა ზემოთმოხსენებულ მემორანდუმში სამართლიანად არის გამოაშკარავებული საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს მფლობელობაში საწარმოთა გადაცემის იდეის მიუღებლობა. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ საკონტროლო ორგანოსათვის ასეთ უფლებათა მინიჭება სიძნელეებს გამოიწვევდა, ვინაიდან ეს მოასწავებელი იქნებოდა, რომ სწორედ, მხოლოდ ასეთი ორგანო გადასწყვეტდა საკითხს, შეუძლია თუ არა ამა თუ იმ ქვეყანას ააგოს ენერგეტიკული ქარხნები. ასეთ ორგანოს უფლება ექნებოდა აგრეთვე დაებრკოლებინა ასეთ ქარხნებში წარმოებული ენერგიის გამოყენება და დაეწესებინა ასეთი ენერგიით მომარაგების პირობები.

ატომის ენერგიის გამომკვლევი მეცნიერები ეხებიან ამერიკის წინადადებებში არსებულ დებულებას საერთაშორისო ორგანოს მიერ სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ჩატარების განსაკუთრებული უფლების შესახებ და სამართლიანად აღნიშნავენ, რომ „საფრთხე მდგომარეობს არა გამოკვლევაში, როგორც ასეთში, არამედ შედეგთა გამოყენებაში. კონტროლის სქემის მიზანია — უზრუნველჰყოს, რომ ასეთი გამოკვლევის შედეგები არასოდეს არ იქნეს გამოყენებული გამანადგურებელი მიზნებით".

იდეამ იმის შესახებ, რომ საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს მიენიჭოს საწარმოების მფლობელობის უფლება, უფლება ნებადართოს თუ არა ამა თუ იმ ქვეყანას ააგოს საწარმოები, უფლება ჰფლობდეს საწარმოთა პროდუქციას, სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოს განსაკუთრებული უფლება და სხვა, რასაც შეერთებული შტატების წინადადებანი შეიცავენ, თავისი გამოხატულება ჰპოვა აგრეთვე ატომის კომისიის მოხსენებაში, თუმცა რამდენადმე შენიღბული ფორმით. კერძოდ, ასეთმა იდეამ გამოხატულება ჰპოვა მოხსენების 5-ე ნაწილის 1-ლი თავის 4-ე მუხლში. „მმართველობის" ცნების ასეთ განმარტებაში არსებითად ჩამოყალიბებულია ატომის ენერგიის მწარმოებელ საწარმოთა საკონტროლო ორგანოს მფლობელობაში გადაცემის პრინციპი, ე. ი. პრინციპი, რომელიც ყველაზე უფრო მკაფიო ფორმით გამოთქმულია ატომის კომისიაში შეერთებული შტატების წარმომადგენლის ზემოთმოხსენებულ განცხადებაში.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 6 მარტი. (ტასსი). [illegible]

[illegible]

ნანკინი, 8 მარტი. (ტასსი). [illegible] ...მიიღონ ამერიკის მთავრობის აშკარა და დიდი დახმარება, რათა განამტკიცონ ფრონტზე მორალური მდგომარეობა, რომელიც განუწყვეტლივ უარესდება, და შესწყვიტონ საყოველთაო შიში სამოქალაქო მოსახლეობაში. ისინი [illegible] ... და ბოლომდე ვებრძოლებით მშვიდობისა და დემოკრატიისათვის. გამოთხოვების მომენტში ჩვენ გულწრფელად გვწამს, რომ ჩვენი მშვიდობისმოყვარე მეგობრები ჩვენთან შემოგვიერთდებიან ჩვენს საქმეში".

იტალიის ყოფილ მეფეებს აეკრძალათ იტალიის ტერიტორიაზე ყოფნა

რომი, 6 მარტი. (ტასსი). მთავრობის ორგანო „გაზეტა უფიჩიალეში" გამოქვეყნდა მინისტრთა საბჭოს წინადადებით მიღებული დეკრეტი, რომელიც იტალიის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნას უკრძალავს მეფეებს ვიქტორ ემანუილსა და უმბერტო სავოიელებს და მამრობითი სქესის მათს ჩამომავალთ. დეკრეტის ამ მუხლის დარღვევის შემთხვევაში ძალაში შედის „საზოგადოებრივი უშიშროების ნორმები სახელმწიფოს ტერიტორიიდან გაძევებულ უცხოელთა მიმართ".

დეკრეტი აგრეთვე აცხადებს, რომ „ყოფილი მეფეების ვიქტორ ემანუილისა და უმბერტო სავოიელთა და მათი მამრობითი სქესის ჩამომავალთა ქონების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებათა მიღებამდე ძალა არა აქვს არავითარ აქტს, რომელიც ითვალისწინებს როგორც იტალიის ტერიტორიაზე არსებული აღნიშნული ქონების სხვა პირთა საკუთრებაში გადასვლას, ისე, ამ ქონების რაიმე რეალური უფლებათა დაწესებას".

ამავე დროს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაავალა ყველა პრეფექტს აკრძალოს საზოგადო ადგილას სავოიის დინასტიის გერბიანი და ამ დინასტიის სხვა ემბლემიანი ალმების გაკიდება.

მოღალატეთა გასამართლება საფრანგეთში

პარიზი, 8 მარტი. (ტასსი). პარიზის რადიო გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის უმაღლესმა სასამართლომ დაუსწრებლად განიხილა ჟორჟ ილერისა და რაფაელ ალიბერის საქმეები. ლავალის ყოფილი მახლობელი პირი ჟორჟ ილერი ოკუპაციის პერიოდში ვიშის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული ადმინისტრაციის საქმეთა გენერალური მდივანი იყო. ვიშის ყოფილი მინისტრი რაფაელ ალიბერი იყო ავტორი „კონსტიტუციური აქტებისა", რომლებითაც ვიშის მთავრობა ხელმძღვანელობდა. სასამართლომ უკვე გამოიტანა განაჩენი რაფაელ ალიბერის საქმის გამო. მას სიკვდილით დასჯა მიესაჯა.

ეამის პროტესტი საბერძნეთის მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ

ათენი, 7 მარტი. (ტასსი). ეამის (საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი) ცენტრალური კომიტეტის დელეგაციამ გუშინ პრემიერ-მინისტრს წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამია, რომ მთავრობის ახალ ღონისძიებებს არ შეუძლიათ დამშვიდება გამოიწვიონ საბერძნეთში, არამედ მხოლოდ გააძლიერებენ ურთიერთ ბრძოლას. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ ეამი დამატებითი ტალღის აფასებს, როგორც მთავრობის ცდას კომინფორმისთვის დაუყენოს ეამი. მემორანდუმში გამოთქმულია პროტესტი ეპონის (საბერძნეთის ახალგაზრდობის დემოკრატიული ორგანიზაცია) შენობის უკანონო დახურვისა და ეროვნული ურთიერთდახმარების ორგანიზაციის დევნის წინააღმდეგ.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

ლონდონი, 7 მარტი. (ტასსი). ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ინგლისის სარდალი საბერძნეთში გენერალი როლინსი დაესწრო საბერძნეთის თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავდნენ საკითხებს საბერძნეთის არმიის შესახებ. ეს პასუხი გაცემულ იქნა იმ კითხვებზე, რომლებიც წინანდელ პრესკონფერენციებზე იყო მიცემული: მართალია თუ არა, რომ ინგლისის სარდალმა ურჩია თავდაცვის საბჭოს ბერძენ პარტიზანთა წინააღმდეგ შეტევა დაიწყოსო.

კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

10 მარტს, საღამოს 8 საათზე, შესდგება დოცენტ მელქაძისა და დოცენტ ბახტაძის კონსულტაცია პოლიტეკონომიაში.

10 მარტს, საღამოს 7 საათზე, შესდგება ამხ. ტატიშვილის ლექცია ახალგაზრდობისათვის. თემა: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".

10 მარტს, საღამოს 8 საათზე, მიმდინარე პოლიტიკის წრეების პროპაგანდისტებისათვის, ლექტორებისა და მომხსენებლებისათვის შესდგება ამხ. ფრიშენბერგის კონსულტაცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა" (თბუთმეტი დღის მიმოხილვა).

10 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების ინსტრუქტორებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება დოცენტ ა. კიკვიძის ლექცია თემაზე: „საქართველოს ბოლშევიკები პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში".

11 მარტს, დილის 9 საათზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება სემინარული მეცადინეობის შესავალი ლექცია თემაზე: „ი. ბ. სტალინის ნაშრომი „რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიის ლონდონის ყრილობა (დელეგატის შენიშვნები)".

ლექციას წაიკითხავს ამხ. ლ. გეგეშიძე.

თეატრებში

9 მარტს: სახელმწიფო ოპერა—„კაკო ყაჩაღი"; რუსთაველის სახელობის — „მეზღვაურები"; მარჯანიშვილის სახელობის—„უმზითვო"; გრიბოედოვის სახელობის — „ძველი მეგობრები"; სომხური — „დაქცეული ოჯახი"; 10 და 11/III — „კაცია ადამიანი"?! (მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლები); მუსიკალური კომედიის — „ცეცხლელი"; ხანკულტურის—„პლატონ კრეჩეტი"; მოზარდ მაყურებელთა ქართული — „ბაში-აჩუკი"; რუსული — „თოვლის დედოფალი".

კინოებში

9 მარტს: რუსთაველის სახელობის და „ამირანი" — „შუამარში"; „კომკავშირელი" და „სპარტაკი" — „დაკარგული სამოთხე"; „თბილისი" — „საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ"; 26 კომისრის სახელობის — „შუამარში".

11 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის სხდომის დარბაზში (ფედერაციის ქ. № 2) მოწვეულია მშრომელთა დეპუტატების კიროვის რაისაბჭოს 26-ე სესია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

მოქალაქე ქსენია ალექსის ასულმა გასიშვილმა, მცხოვრებმა პლეხანოვის პროსპ. № 97, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ვლადიმერ ანტონის-ძე გასიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ნინო ძინძიბაძე, ირაკლი, კატო, თამარ, პოლიკარპე, თამარ შვილებით იუწყებიან ილია დოსმიშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 9/III, 2 ს. ფედერაციის 16.

დედა მარიამ, შვილები თინა, შოთა, სიძე ვახტანგ, შვილიშვილები იუწყებიან თამარ ვასილის ასულ შენგელიას გარდაცვალებას. გამოსვენება 9/III, 4 ს. გლდანის, 19.

ნინო მირის ასული ენუქიძე და ალექსანდრე არჩილის-ძე ბურჯანაძე ოჯახებით იუწყებიან ვასილ ვარლამის-ძე მხეიძის გარდაცვალებას.

შვილები ზინა, მარიამ, ბიჭიკო, რძალი მარგო, სიძეები გ. მოსეშვილი, გ. თავაძე ოჯახებით იუწყებიან აპოლინარია ათანასეს ასულ ბაბილუა-გაგუას გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/III ზუგდიდში, სტალინის, 128.

შვილები თამარ, ნადია, სიძე გრიშა შვილებით იუწყებიან მარიამ ივანეს ასულ ნადირაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 9/III, 4 ს. ლენინის გასავალი, 14.

მეუღლე მიშა პირტახია ოჯახით, დედა მასიკო, ძმა შაქრო, და ნინო წილოსნები იუწყებიან თამარ ნიკოლოზის ასულ წიკლაურის გარდაცვალებას. გამოსვენება 9/III, 5 ს. ხევსურეთის, 11.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის თანამშრომლები იუწყებიან დავით ალექსანდრეს-ძე ნადაშვილის მამის ალექსანდრე დავითის-ძე ნადაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 11/III, 5½ ს. შრომის, 17.

ბოლნისის სატყეო მეურნეობის ადმინისტრაცია და თანამშრომლები იუწყებიან სატყეო მეურნეობის მეტყევე ალექსანდრე ავთანდილის-ძე აბულედიანის გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/III ბოლნისში, მაიაკოვსკის 1.

მეუღლე მარო, შვილი დავით, რძალი თამარ, ძმა ივანე, და და ტასო ოჯახებით იუწყებიან გრიშა ივანეს-ძე გამრეკელიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/III ქუთაისში, წერეთლის, 25.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეოსა და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მოთავისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უ0 00037